# ლელო

№ 35 (11 287)

11 – 13 მაისი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძმები კილასონიები შეიძლება საფრანგეთის „ბულონში" აღმოჩნდნენ. გუნდში, რომელსაც... 90 სპონსორი ჰყავს




იხ. მე-4 გვ.

წინა პლანზე (მუქ მაისურში) გიორგი კილასონია

## კანონი, რომელიც არ სრულდება

### ამონაწერი „საქართველოს კანონიდან სპორტის შესახებ"

**თავი მეექვსე. მუხლი 23. პარაგრაფი 7.** „ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებლად და საქართველოს სპორტული დელეგაციების ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში, თასების გათამაშებაში, მსოფლიო უნივერსიადებში და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს მიზნობრივ სახსრებს".

კითხულობ ამ სტრიქონებს და მწარედ გეღიმება. გეღიმება იმაზე, რომ ქვეყანას თავისი სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის მსოფლიოს თვალწინ წარმოჩენის ისეთი შესაძლებლობა, როგორიც სპორტია, არაფრად უღირს. ამ ქვეყანაზე ყველაფრის გამართლება შეიძლება, მათ შორის სპორტისადმი უყურადღებობა ეკონომიკური ხელმოკლეობის მომიზეზებით. სამწუხარო და სავალალო კი ის არის, რომ ხელისუფლება შეეჩვია ამ მიზეზს და არც კი ცდილობს პრობლემის დაძლევის გზები გამონახოს. არადა, რამდენი ხანია დაინტერესებული სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები მზა რეცეპტს სთავაზობს მთავრობას — მოახდინოს ქვეყანაში სახადივით მოდებული ლატარიების მონოპოლიზაცია და მთელი შემოსავლები მიმართოს ხაზინაში. არა და არა, გაგონება არავის სურს. ერთადერთი, ვინც ამ სფეროში წესრიგის დამყარება მოითხოვა, როგორც „ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, ქვეყნის პრეზიდენტია.

**მაშ ასე, კიდევ ერთხელ შევახსენებთ მთავრობას — აპირებთ თუ არა ქვეყანაში ასე მომრავლებულ ლატარიებზე სახელმწიფო მონოპოლიის და კონტროლის დაწესებას, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიღებული?**

შეგახსენებთ, ბელარუსის პრეზიდენტმა ა. ლუკაშენკომ უკვე გადაჭრა ეს პრობლემა საგანგებო ბრძანებულებით და სპორტმაც ამოისუნთქა. ვიცოდეთ მაინც, ჩვენ რას ველოდებით!

## მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი

# ქართველებს იუგოსლაველები უპირისპირდებიან

**შაბათს დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირი 32 მოჭადრაკე ქალის მონაწილეობით, რომელთა შორის 12 დიდოსტატია.**

აი მონაწილეთა სრული სია მათი ზოგიერთი მონაცემით: დიდოსტატები ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია. 1971 წ. 3 სექტემბერი. რეიტინგი 2424), სვეტლანა პრუდნიკოვა (იუგოსლავია, 1967 წ. 18 მარტი, 2415), სანია ვუკსანოვიჩი (იუგოსლავია, 1967 წ. 3 აპრილი, 2354), მარია მანაკოვა (იუგოსლავია, 1974 წ. 1 მარტი, 2344), პრუდნიკოვა და მანაკოვა ადრე რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ. ანა ბოტსარი-მილადინოვიჩი (საბერძნეთი, 1972 წ. 5 ოქტომბერი, 2333), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 1978 წ. 16 აგვისტო, 2353), ლილიტ მკრტიჩიანი (სომხეთი, 1982, 9 აგვისტო, 2294), მარინა მაკროპულუ (საბერძნეთი, 1960 წ. 3 დეკემბერი, 2294, ყოფილი რუმინელი მოჭადრაკე პოგორევიჩი), დიანა დარჩია (საქართველო, 1977 წ. 18 ოქტომბერი, 2445. უმაღლესი კოეფიციენტი ამ ტურნირისათვის), ნინო ხურციძე (საქართველო, 1975 წ. 28 სექტემბერი, 2405), მაია ლომინეიშვილი (საქართველო, 1977 წ. 11 ნოემბერი, 2375), თამარ ხმიადაშვილი (საქართველო, 1944 წ. 27 ნოემბერი, 2197), საერთაშორისო ოსტატები — ეკატერინე ფახირიდუ (საბერძნეთი, 1964 წ. 10 აპრილი, 2239. ყოფილი ქუთაისელი მოჭადრაკე ფახიროვა), გოარ ხლგათიანი (სომხეთი, 1975 წ. 14 მაისი, 2239), სოფიკო ტყეშელაშვილი (საქართველო, 1979 წ. 23 ოქტომბერი, 2321), რუსუდან გოლეთიანი (საქართველო, 1980 წ. 8 სექტემბერი, 2310), ნატალია ეძგვერაძე (საქართველო, 1975 წ, 23 ივლისი, 2295), სოფიო ნიკოლაძე (საქართველო, 1973 წ. 2 დეკემბერი 2262), ინგა ხურცილავა (საქართველო, 1975 წ. 17 აპრილი, 2259), მირანდა ხორავა (საქართველო, 1977 წ. 19 ნოემბერი, 2210), ფიდეს ოსტატები — ანა მათნაძე (საქართველო, 1983 წ. 20 თებერვალი, 2283), ლელა ჯავახიშვილი (საქართველო, 1984 წ. 23 აპრილი, 2181), ნინო მაისურაძე (საქართველო, 1982 წ. 13 ივნისი, 2143), რეიტინგიანი მოჭადრაკეები: მარია პეტრაკი (საბერძნეთი, 1962 წ, 21 აგვისტო, 2140), ალექსანდრა სტირი (საბერძნეთი, 1984 წ. 26 მარტი, 2092), ნარინე გასპარიანი (სომხეთი, 1982 წ. 10 ივლისი, 2170), ნილიფერ ჩინარი (თურქეთი, 1962 წ. 4 ნოემბერი, 2052), ემინე სანლი (თურქეთი, 1962 წ. 30 სექტემბერი, 2050), გიზემ სისმანი (თურქეთი, 1979 წ. 5 სექტემბერი, 2050), სოფიო გვეტაძე (საქართველო, 1983 წ. 15 ნოემბერი, 2174), ინგა ჭარხალაშვილი (საქართველო, 1983 წ. 23 აპრილი), და ნათია წურწუმია (საქართველო, 1982 წ. 2 თებერვალი, 2122).

**პირველ ტურში** ხურცილავამ მოუგო დარჩიას, ბოიკოვიჩმა — ფახირიდუს, პრუდნიკოვამ — ხლგათიანს, ხურციძემ — ხორავას, ვუქსანოვიჩმა ჯავახიშვილს, გვეტაძემ — დანიელიანს, გასპარიანმა — მანაკოვას, ტყეშელაშვილმა — მაისურაძეს, გოლეთიანმა პეტრაკის, მაკროპულუმ — სტირის, ჩინარმა — მკრტიჩიანს, მათნაძემ — სანლის, ნიკოლაძემ — სისმანს, ყაიმზე შეთანხმდნენ ლომინეიშვილი — ხმიადაშვილი, ბოტსარი-მილადინოვიჩი — ჭარხალაშვილი, წურწუმია — ეძგვერაძე.

**მეორე ტურში** ბოიკოვიჩმა მოუგო მაკროპულუს, ხურციძემ — მათნაძეს, ვუკსანოვიჩმა — გასპარიანს, ტყეშელაშვილმა — ჩინარს, გოლეთიანმა — ხურცილავას, ბოტსარი-მილადინოვიჩმა — ხმიადაშვილს, ეძგვერაძემ ჭარხალაშვილს, მანაკოვამ — წურწუმიას, დარჩიამ — პეტრაკის, დანიელიანმა — სტირის, მკრტიჩიანმა — ჯავახიშვილს, ფახირიდუმ — სანლის, ხორავამ — სისმანს, ლომინეიშვილმა — გვეტაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ნიკოლაძე — პრუდნიკოვა, ხლგატიანი — მაისურაძე.

ორი ტურის შემდეგ ორ-ორი ქულა აქვთ ბოიკოვიჩს, ვუკსანოვიჩს, გოლეთიანს, ხურციძეს და ტყეშელაშვილს.

ბივი გამრეკელი

**გუშინ. III ტური.** პრუდნიკოვამ მოუგო ტყეშელაშვილს, ლომინეიშვილმა — ეძგვერაძეს, ნიკოლაძემ — ბოტსარი-მილადინოვიჩს, გვეტაძემ — დარჩიას, დანიელიანმა — ხურცილავას, ფახირიდუმ — მანაკოვას, მანთაძემ — გასპარიანს, ხორავამ — კინაკს, მაისურაძემ — პეტრაკს, ჯავახიშვილმა — სანლის; ყაიმზე შეთანხმდნენ: გოლეთიანი-ბოიკოვიჩი, ვუსკანოვიჩი-ხურციძე, სტირი-სისმანი.




„ბაიერნმა" უკვე იზეიმა ბუნდესლიგის ჩემპიონობა. ცხადია, მათეუსი გახარებულია

იხ. მე-5 გვ.

## სფფ-ს ყადაღას მოუხსნიან...

ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადეს საგადასახადო ინსპექციის უფრებმა, რომლებმაც სფფ-ს საბანკო ანგარიშს ბიუჯეტის წინაშე დავალიანების გამო ამ რამდენიმე თვის წინათ ყადაღა დაადეს, რამაც ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო სფფ-ს სამეურნეო საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ სფფ ნაწილ-ნაწილ კარგა ხანია ფარავს დავალიანებას, სანქცია დღემდე ძალაში რჩებოდა. ახლა როგორც ჩანს, მართლაც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ქართული ფეხბურთის გადასარჩენად, მათ შორის საგადასახადოშ და კანონიერების ფარგლებში უნდა აღსდგეს სფფ-ს ნორმალური ფინანსური საქმიანობა.

## კაცი, რომელიც ეროვნული სპორტის საკეთილდღეოდაც მოძრაობს...

იხ. მე-2 გვ.



ვასილ ფოთაშვილი

## კალათბურთი — შინ და გარეთ...



ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ასკ-სსუ 70:101, შევარდენი — აზოტი 79:99, დინამო — თსუ 76:65, სდასუ — მაკაბი 76:83, სტუ — ვითა 76:85, ვითამ ამ მოგებით ფლეი-ოფში თამაშის უფლება გაინაღდა. სტუ — ასკ 101:100, შევარდენი — სსუ 118:115, თსუ — აზოტი 108:107 (ძირითადი დრო 94:94), ვითა-მაკაბი 69:62, დინამო — სდასუ 93-69

**ნბა. ფლეი-ოფის მატჩები.** ეს სერია ამ დღეებში დაიწყო. გაგაცნობთ შედეგებს: მაიამი — ნიუ-იორკი 75:95, პორტლენდი — ფენიქსი 95:85, იუტა — საკრამენტო 117:87, ატლანტა-დეტროიტი 90:70.




## ინციდენტი

თსუ — აზოტის მატჩში დამატებითი დრო იწურებოდა, როცა წინ ერთი ქულით აგებდა (107:108). 17 წამით ადრე, ვიდრე მსაჯი შეხვედრას დაამთავრებდა, თსუ-მ წუთშესვენება მოითხოვა, რაც, როგორც ირკვევა, ვერ შენიშნა მსაჯმა. სტუდენტებმა კი ჩათვალეს, რომ წუთშესვენება ძალაში შევიდა და... ამ დროს არბიტრმა ჯარიმა დააფიქსირა. სწორედ ეს ჯარიმა კარგად გამოიყენა გოგიბერიშვილმა და აზოტი 1 ქულით წინ გავიდა. მატჩიც ასე დასრულდა. თამაშის შემდეგ თსუ-მ გააპროტესტა შედეგი — მოითხოვა 17 წამის გადათამაშება. სტუდენტები საამისოდ მზად იყვნენ, მოედანზეც გამოვიდნენ, მაგრამ მეტოქემ განაცხადა უარი გადათამაშებაზე.

გუშინ, ამ საკითხთან დაკავშირებით კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა წინასწარი არაოფიციალური თათბირი. ხვალ კი მთავარ მსაჯთა კოლეგია და სადისციპლინო კომისია შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანენ.

ჩვენი ვარაუდით, საქმე იქითკენ მიდის, რომ თსუ-ს პროტესტს დააკმაყოფილებენ. შემდეგი ტური 15-16 მაისს ჩატარდება იქვე, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში.

*სიახლე*

## კალათბურთის მატჩები 4 პერიოდად, ორი ტაიმის ნაცვლად და სხვა სიახლეები

სიდნეიში ოლიმპიური თამაშები ბოლო საერთაშორისო შეჯიბრება იქნება, როცა კალათბურთელები ორ 20-20 წუთიან მატჩებს ითამაშებენ. სიდნეის შემდეგ ყველა ოფიციალური ტურნირი ჩატარდება ახალი სისტემით — 10-10 წუთიან ოთხ პერიოდად, ხოლო შეტევის დაგვირგვინებისთვის ადრინდელი 30 წამი ახლა შემცირდება 24 წამამდე, როგორც ეს ნბა-ს წესებშია, ოლიმპი-

იხ. მე-4 გვ.

## დაფასება

## ტანკი — „ჯემალ ცერცვაძე"

წარსულში ცნობილი ქართველი ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის 60 წლის საიუბილეო საღამოზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მისალმებაში ერთი უცნაური ფრაზა გაისმა: „თქვენი სახელი მიეკუთვნება ტანკს!" მისალმების წამკითხველმა, თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსმა ჯონი ფირცხალაიშვილმა იქვე დააზუსტა, რომ ესაა ქვეყნის თავდაცვის უწყების სრულიად სერიოზული გადაწყვეტილება — ამიერიდან საქართველოს სამხედრო არსენალში ირიცხება ტანკი „ჯემალ ცერცვაძე". ეს მრისხანე სამხედრო მანქანა, დედაქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ სპეციალურ სასწავლებელშია, ვეტერან ხელბურთელს კი ნებისმიერ დროს შეუძლია მივიდეს ნახოს და თავისავე სახელობის „რკინის რაშით", გაისეირნოს კიდეც, ოღონდ... ქალაქის ქუჩებში არა!

## ვეტერანებს მოეფერნენ...

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ტრადიციულად გამარჯვების დღის აღსანიშნავად, საორტის სახელმწიფო დეპარტამენტში მიიწვიეს. ნაბრძოლ ვეტერან სპორტსმენებს შეხვდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით ტურტენიძე, მიულოცა დღესასწაული და თითოეულს მატერიალური დახმარება გაეწია.

## გამოიცანით, რა შინაარსის ფაქს გაუგზავნის სფფ ნორვეგიის ფედერაციას საპასუხო მატჩის შემდეგ

თუ გავითვალისწინებთ ქართულ სტუმართმოყვარეობას და იმასაც, რომ სტუმარს მასპინძლისგან სრული ასი პროცენტით მიაქვს ის, რის წაღებაზეც ოცნებობდა, ცხადია, ათმაგად და ასმაგად გადაგიხდის მადლობას. ვიკინგების ქვეყნის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს და მის თავკაცებს, როგორც ჯენტლმენებს ეკადრებათ, შინ ჩასვლის შემდეგ და თბილისში მიღწეული წარმატების „სიზმრიდან" რომ გამოერკვნენ, გულისამაჩუყებელი მასპინძლობა გაახსენდათ და თბილისში ფაქსი გამოაგზავნეს — ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ომდალი და გენსეკი ესპელუნდი სფფ-ს უღრმეს მადლობას უხდიან, როგორც მატჩის ჩინებულად ორგანიზაციის, ისე მათდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის. ახლა ნორვეგიელების მასპინძლობის ჯერი დგება. განსჯა იმისა, თუ რა შინაარსის ფაქს გააგზავნიან ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში ქართველები შინ დაბრუნების შემდეგ, თქვენთვის მიგვინდია, მკითხველო!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვაკის პარკში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ მასობრივ სპორტულ ღონისძიებაში გამარჯვებულები და პრიზიორები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

იხ. მე-2 გვ.

სურათზე: თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა პრიზს გადასცემს გამარჯვებულს.

**სამბო** ევროპის ჩემპიონატი **უფრო დაწვრილებით**

# თუ გუნდებს მსაჯებიც ახლავს, ადვილად ვერავინ დაგჩაგრავს



მირიან პავლიაშვილი



აკაკი ხანიშვილი

კონტინენტის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების გამგზავრებას წინ რა აყიოტაყიც უძღოდა, ყველამ კარგად იცის. თანხების დაზოგვის მიზნით, ჩვენი სამივე ნაკრები (ჭაბუკები, ახალგაზრდები, დიდები) ბულგარეთში თურქეთის გავლით გაემგზავრნენ. „სადაც დაგვიღამდებოდა, ღამეს იქ ვათევდით, რომ ბიჭები არ გადაღლილიყვნენ" — თქვა გიორგი ჩიტაშვილმა, რომელიც დელეგაციას ახლდა როგორც მწვრთნელი და მსაჯი. აქვე ვიტყვით, რომ მსაჯად იყო აგრეთვე მიწვეული ემილ რაში. ორივეს საერთაშორისო კატეგორია აქვს და მსოფლიოს საუკეთესო მსაჯთა ოცეულში შედიან. მათ გარდა, გუნდების მწვრთნელები იყვნენ ოლეგ იაძე (უფროსი მწვრთნელი), ანზორ ზურაბაული და გენადი გიორგაძე.

ასპარეზობაში 18 ქვეყნის სამ-სამი ნაკრები მონაწილეობდა. სექტემბერში სანკტ-პეტერბურგში მსოფლიოს პირველობაა და, ცხადია, ყველა თავგამოდებით იბრძოდა თავიანთი ქვეყნის ნაკრებში ადგილის მყარად დასამკვიდრებლად. მანამდე კი სამბოს მექაში, რუსეთის ქალაქ ფსკოვში მსოფლიოს თასის გუნდური გათამაშებაა, სადაც მხოლოდ დიდების ნაკრები იასპარეზებს.

იყო თუ არა მიკერძოება მსაჯობაში? ამ კითხვაზე გიორგი ჩიტაშვილმა გვიპასუხა, რომ ჩვენების მიმართ არანაირი ზეწოლა არ ყოფილა, რადგან საქართველოდან ორი მსაჯი ემსახურებოდა ასპარეზობას, ამ ფაქტორს კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ჭაბუკები. 48 კგ:** 1. დ. პოლენოკი (რუს.), 2. მ. კუსკი, (ესტ.), 3. ბ. გარჩავა (საქარ.), გ. მისკოსკი (იუგ.); **52 კგ:** 1. ს. კრივოშნევი (რუს.), 2. რ. გასანოვი (აზერ.), 3. ავთანდილ ცინცაძე (საქ.), ზ. კოკლიანი (სომხ.); **56 კგ:** 1. ს. პეტრაშევიჩი (რუს.); 2. ე. ახმედოვი (აზერ.), 3. ალექსანდრე მაღალთაძე (საქ.), ი. კუსკა (უკრ.); **60 კგ:** 1. ტ. ალიევი (აზერ.), 2. მ. ბარბარიანი (სომხ.), 3. ნ. ვიდოუნაკი (უკრ.), ე. პალკინი (რუს.)... 7. იოსებ მამულაშვილი (საქ.); **65 კგ:** 1. ვ. ეფიმოვი (უკრ.), 2. ე. სარქისიანი (სომხ.), 3. ვ. ტუკინი (რუს.), ა. ემიკ (ბელ.)... 9. მერაბ ფანცულაია (საქ.); **70 კგ:** 1. ა. გრიგორიანი (სომხ.), 2. ს. ფაშაევი (აზერ.), 3. მორის თადუმაძე (საქ.), რ. პალინევი (რუს.); **75 კგ:** 1. პ. კოროლიოვი (რუს), 2. რ. რუსნიკოვი (უკრ.), 3. იმედა უსანეთაშვილი (საქ), კ.მიტარიანი (სომხ.); **81 კგ:** 1. ნ. შკრედი (ბელ), 2. გ. ნაკევი (ბელგ), 3. რ. კოკია (უკრ), ა. ჯარიმოვი (რუს)... 5. გიორგი გრძელიძე (საქ.); **87 კგ:** 1. მირიან პავლიაშვილი (საქ); 2. ვასილ ლორდანოვი (ბულგ.). 3. ნ. კონდლიში (იუგ.), კ. ალექსეევი (რუს.), **მძიმე:** 1. ა. ემილენკო (რუს.), 2. ს. ჰასანოვი (აზერ.), 3. დ. კორონიში (მოლდ.), პ. სტოკოვი (ბულ.), საქართველოს მონაწილე არ ჰყოლია.

**ახალგაზრდები: 48 კგ:** 1. ა. ეგოროვი (რუს.), 2. ვასილ ბერუაშვილი (საქ.), 3. ვ. მინასიანი (სომხ.), ვ. მიროსლავი (ბულ.); **52 კგ:** 1. აკაკი ხანიშვილი (საქ.), 2. კ. სააკიანი (სომხ.), 3. ა. კოსელი (ბელ.), ა. ტარმასკოვი (რუს); **57 კგ:** 1. ნ. ნაზარალიევი (აზერ.), 2. ო. როშნევი (რუს), 3. თეიმურაზ ნეფარიძე (საქ.), ნ. ფრანცისკო (ესპ.); **62 კგ:** 1. ნ. აბასოვი (აზერ.), 2. ს. კოროლიოვი (რუს.), 3. ა. ოლენიკი (უკრ.), ნ. ლარნელისი (ბელ.)... 5. თამაზ ნეფარიძე (საქ.); **68 კგ:** 1. ნ. ტალიანი (ბულგ.), 2. ა. პავლინოვი (რუს.), 3. ნიკოლოზ ზაუტაშვილი (საქ.), კ. პოლოსიანი (სომხ.); **74 კგ:** 1. დიმიტრი აბულაძე (რუს.), 2. ვ. ბაგრაევი (აზერ.), 3. ა. ალექსანდრი (იუგ.), ტ. მილემისი (ბულგ.)... 11. ლევან ანთაძე (შარშანდელი ევროპის ჩემპიონი); **82 კგ:** 1. ა. ნოვიკი (ბელ.), 2. დ. ლარინი (რუს.), 3. გიორგი შუბითიძე (საქ.), ა. ნადუევი (აზერ.); **90 კგ:** 1. კ. ვოლოვიკი (უკრ.), 2. დ. ვოლოშოვი (ბულგ.), 3. რ. სადიმოვი (აზერ.), მ. რიანოვი (რუს.)... 5. გიორგი ჩადუნელი (საქ.), ჩადუნელი შარშან ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი იყო ახალგაზრდებში; **100 კგ:** 1. ლ. რიბაკი (ბელ.), 2. ს. სარქისოვი (რუს.), 3. დავით ლილუაშვილი (საქ.), მ. აპოსოლოვი (ბულ.); **მძიმე:** 1. ე. სოტნიკოვი (უკრ.), 2. მიხეილ ჩხეიძე (საქ.), 3. ლ. ნაუმოვი (ლიტ.), ა. ვოლოვსკი (ბელ.).

**დიდები: 52 კგ:** 1. რ. კიშმაროვი (რუს.), 2. ი. მამედოვი (აზერ.), 3. ნ. კარანდინი (ბელ.), ე. გრიგორიანი (სომხ.)... 5. მევლუდ მელაძე (საქ.); **57 კგ:** 1. ა. სმირნოვი (რუს.), 2. ვ. ტანალოვი (ბულგ), 3. ს. ტულუპოვი (ბელ.), ა. მანუკიანი (სომხ), საქართველოს მონაწილე არ ჰყოლია; **62 კგ:** 1. პ. ნოგლიანი (სომხ.), 2. ა. ფედერი (ესტ.), 3. მამუკა კურდღელაშვილი (საქ), დ. ვასილევი (ბელარუსი); **68 კგ:** 1. ო. მარტინოვი (რუს.), 2. გ. ნეტოვი (ბულ.), 3. არჩილ ჩოხელი (საქ.), ვ. სავინოვი (უკრ.); **74 კგ:** 1. გ. გიორგიევი (ბულ.), 2. ი. მინალოვიჩი (იუგ.), 3. ნიკოლოზ ბიბილაშვილი (საქ.), .რ. ბალოვსკი (რუს.); **82 კგ:** 1. რ. სადოვინი (უკრ.), 2. ა. კანავალოვი (რუს.), 3. რ. ოვერტა (ლიტ.), ა. ანდრიანოვი (ბულ.)... 5. ლევან ანთაძე (საქ.); **90 კგ:** 1. ივანე გამხიტაშვილი (საქ.), 2. რ. ალექსანდრი (ბელ.), 3. მ. მირალიევი (აზერ.), 3. კროტოვი (რუს.); **100 კგ:** 1. ლ. ცვირიდი (ბელ.), 2. ს. კალატკოვი (ბულ.), 3. იოსებ ახალბედაშვილი (საქ.), რ. ბორისენკო (უკრ.); **მძიმე:** 1. გ. ტონკოვი (ბულგ.), 2. ა. ორლოვსკი (ბელარ.), 3. ლ. მეროვიჩი (უკრ.), დავით ბაგაური (რუს.),.. 5. რატი ფერაძე (საქ.).

## „დინამოს" განსაკუთრებული წვლილი

ჩვენს გაერთიანებულ ნაკრებში ნახევარზე მეტი — 16 დინამოელი, ასე ვთქვათ, ფორმიან-სამხრეებიანი სპორტსმენი იყო. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" (თავმჯდომარე რობიზონ თუშურაშვილი, მთავარი მწვრთნელი გმირო ხაჩიძე) სამბოს დასაყრდენია ჩვენს ქვეყანაში. კლუბმა ძალისში, სადაც შესანიშნავი დარბაზი და წვრთნის კარგი პირობებია, ჩემპიონატზე გამგზავრების წინ შეკრების მოწყობაში გაუმართა ხელი ნაკრებს და ერთი სპორტსმენის ჩემპიონატზე გამგზავრების ხარჯებიც გაიღო. 11 დინამოელი ჩემპიონი და პრიზიორი გახდა (I — გამხიტაშვილი და პავლიაშვილი, III — ჩოხელი, ახალბედაშვილი, კურდღელაშვილი, ლილუაშვილი, ზაუტაშვილი, შუბითიძე, თემურ ნეფარიძე, ქარჩავა, უსანეთაშვილი).







როგორც ყოველთვის, ფაშიზმზე გამარჯვების თარიღი 9 მაისი, ტრადიციულად ვაკის პარკში აღინიშნა. ეს ხალხმრავალი ღონისძიება ასევე ტრადიციულად სპორტულმა პროგრამამ გაალამაზა, რომელშიაც ძირითადად თბილისის განათლების სამმართველოს სისტემის მოზარდი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ალექსანდრე კოტორაშვილმა ფირზე სწორედ ამ ღონისძიების ამსახველი მომენტები ასახა.

**თავისუფალი ჭიდაობა** საქართველოს პირველობა

# „თავშესაფარი" გლდანში...

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი (დირექტორი მერაბ მეტრეველი) მოჭიდავეთა თავშესაფრად იქცა. თავშესაფრადო ვამბობთ იმიტომ, რომ სხვა სპორტული ბაზები, სადაც შეიძლება ფალავნებმა იასპარეზონ, ან კეთილმოუწყობელია, ან საარენდო თანხაა გადასახდელი. გლდანში ამ სასწავლებლის სპორტული დარბაზი კი ყოველმხრივ გამართულია და დირექცია არც ფულს ითხოვს დარბაზის დათმობისთვის. ასე იბრუნეს პირი ფალავნებმა გლდანისკენ, სადაც ჯერ შარშან ბევრი და წლეულს კი რამდენიმე შეჯიბრება უკვე ჩატარდა.

ამჟამად სასწავლებელმა 1979-82 წლებში დაბადებულთა ქვეყნის პირველობას უმასპინძლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მონაწილეთა შორის კი ევროპის და მსოფლიოს 8 ჩემპიონი და პრიზიორი იყო, რამაც განსაკუთრებით აამაღლა ამ შეჯიბრების ავტორიტეტი. ერთ თვეში ევროპის პირველობაა ლატვიაში, შემდეგ კი სიდნეიში მსოფლიო პირველობაზე გამოვლენ ამ ასაკის მოჭიდავეები. ასე რომ, გლდანში გამართულ ასპარეზობას კონკრეტული მიზანიც ჰქონდა — უძლიერესთა გამოვლენა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვი ესწრებოდა ამ ასპარეზობას და მწვრთნელებს აღუთქვა, რომ დაეხმარება წინასაევროპო შეკრების ჩატარებაში, გუნდსაც მიავლენენ ლატვიაში და შემდეგ იქ ვინც თავს გამოიჩენს მსოფლიოს პირველობაზე გამგზავრებაშიც შეუწყობს ხელს. ამ დაპირებით ყველა კმაყოფილი დარჩა.

**50 კგ:** 1. მალხაზ კვასაძე (ქუთ.), 2. ამირან ელბაქიძე, 3. იური ნაგელიშვილი (ორივე — გორი); **54 კგ:** 1. ბესიკ გუჩაშვილი (გორი), 2. თეიმურაზ ჩაბრაძე (საჩხ.), 3. პაატა მეტრეველი (ხაშ.); **58 კგ:** 1. ზურაბ გვილავა (თბ), 2. გიორგი ასანიშვილი (რუსთ.), 3. პაატა ჩაბრაძე (საჩხ.). **63 კგ:** 1. გელა სალირაშვილი (თბ.), 2. ირაკლი შველიძე (ყვარ.), 3. გიორგი ირემაძე (ქუთ.); **76 კგ:** 1. ზაზა ნოზაძე, 2. შოთა ბოლოლაშვილი (ორივე — თბ.), 3. შმაგი ჩოხელი (ორს); **85 კგ:** 1. ზვიად ბიძიშვილი (თბ.), 2. დიმიტრი ტაბიძე (ხონი), 3. ჯონი კალანდაძე (თბ.); **97 კგ:** 1. დავით ოთიაშვილი, 2. შოთა სპანდერაშვილი, 3. ლევან ვაჭარაძე (სამივე — თბილისი), **მძიმე:** 1. მიხეილ ტურაშვილი (თბ.), 2. პაატა დვალიძე (ონი), 3. ნიკოლოზ ალშიბაია (ზუგ.).

ც. ბაქრაძე

**ჭიდაობა ჩვენი, ქართული**

# კაცი, რომელიც ეროვნული სპორტის საკეთილდღეოდაც მოძრაობს...

საქართველოში ჭიდაობის ნებისმიერი სახეობის საფუძველი ჩვენი ეროვნული საუნჯე, ქართული ჭიდაობაა, და ეს ყველამ ჩინებულად იცის. ქვეყნის ყველა კუთხეშია ფესვებგადგმული მისი ტრადიციები და გასაკვირი არ არის თუ ბევრი ქომაგი შეშფოთებულია ჩვენში სპორტის ამ ღრმად ეროვნული სახეობის დღევანდელი მდგომარეობით.

რედაქციაში თელაველი ენთუზიასტი, ვეტერანი მოჭიდავე (ქართული, თავისუფალი, სამბო) ვასილ ფეტვიაშვილი გვეწვია, რომელიც საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის რწმუნებულია კახეთის რეგიონში.

● ***ბატონო ვასილ, ეტყობა რაღაც გაწუხებთ, რომ რედაქციაში მოგვაკითხეთ...***

— აბა, რომელ ქართველს არ აწუხებს ჩვენი სპორტის დღევანდელი ყოფა. ძალიან მადარდებს, რომ საერთოდ ჭიდაობების საქმეც ვერ მიდის კარგად. ეკონომიკური გაჭირვება თავისთავად, მაგრამ ყველაფრის უფულობით გამართლებაც არ შეიძლება, მე რაიონები და სოფლები მაქვს მხედველობაში, თორემ, ქვეყნის ფედერაცია, წელიწადში ერთ შეჯიბრებასაც თუ ვერ ჩაატარებს და ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შესაძლებლობა არ მიეცემა, ცხადია, საგანგაშოა.

● ***თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჭიდაობის სხვა სახეობებისთვის აღარ ხერხდება ნიჭიერთა შერჩევა?***

— რა თქმა უნდა. ადრე შერჩევის სისტემა კარგად მუშაობდა და არც სხვა სახეობებს აკლდებოდა პერსპექტიული კადრები. აბა დამისახელეთ ფალავანი, რომელსაც დიდი წარმატებისთვის მიუღწევია მსოფლიო ხალიჩაზე და ქართული ჭიდაობის მადლთან არ იყო ნაზიარები. აი, ამის დაკარგვა არ შეიძლება. არადა, ქართულ საჭიდაო სკოლას უკვე სწორედ ამიტომაც შეერყა საფუძველი.

● ***გეთანხმებით, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება რამე გამოსავალი გამოინახოს ადგილებზე რა ღონისძიებებს ატარებთ, რათა ეს ვაკუუმი შეივსოს?***

— კახეთში არ ჩამკვდარა ინტერესი ქართული ჭიდაობისადმი, სოფლებს შორის ტარდება შეხვედრები. ახლახან რეგიონული შეჯიბრებაც გავმართეთ ჭაბუკებში, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ეს მაინც კუთხის ჩარჩოა, იქ არ ჩამოვლენ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, სამბოს სპეციალისტები და არ ჩაინიშნავენ ნიჭიერებს, ამის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს პირველობა, რომელიც უსახსრობის გამო, არც შარშან ჩატარებულა და, რამდენადაც ვიცი, არც წლეულსაა ჯერჯერობით გამოყოფილი თანხები.

● ***ადგილობრივი სპეციალისტები ხომ ადევნებთ თვალყურს ტალანტებს...***

— ბევრი გვყავს აღრიცხვაზე, თუმცა მათთვის ადრინდელივით პერსპექტივას ვერ ვხედავთ. მთავარი მაინც ქვეყნის პირველობებში თავის გამოჩენაა. თელავში მირიან ცალქალამანიძის სახელი ეწოდა სპორტულ დარბაზს და ადგილობრივ სპორტსკოლაში თავისუფალ ჭიდაობაში ოსტატდებიან მოზარდები, რომლებიც ძირითადად ქართული ჭიდაობიდან მოდიან.

● ***თქვენ ხომ მოახერხეთ, რომ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობის თვალთახედვის არეში მოგექციათ ძალზე ნიჭიერი ყმაწვილი ზვიად ხანჯალიაშვილი.***

— ჩვენ დავდივართ სკოლებში და ზვიადი იქ შევნიშნეთ. სპორტში მეცადინეობა ზვიადს საერთოდ, არ სურდა. მამამისის დახმარებით მერე ჯერ ქართული ჭიდაობით დავაინტერესეთ, შემდეგ ძიუდოთი და სულ რამდენიმე თვეში მოხვდა საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდულ ნაკრებში. ძირითად ნაკრებშიც ჰყავდათ ბაკურიანში შეკრებაზე. ამას წინათ კი, ზვიადმა, როგორც იცით, თურქეთში ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირი ბრწყინვალედ მოიგო.

● ***ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ბიზნესმენები თუ გეხმარებათ, ხომ შეიძლება კახეთის რეგიონში ჩატარდეს არათუ ღია პირველობა, არამედ საერთაშორისო შეჯიბრებაც კი ქართულ ჭიდაობაში. უზბეკეთი უკვე ტრადიციულად ატარებს ასეთ ტურნირს ჭიდაობის ეროვნულ სახეობაში.***

— რა აქვს რაიონებს რომ დაგვეხმარონ, ან ნაღდი ბიზნესმენები სად არიან, ყველას უჭირს. პირიქით, იქით მე მთხოვენ დახმარებას.

● ***გარდა სპორტისა, თქვენ ალბათ, კიდევ სხვაგან მუშაობთ?...***

— უსაქმოდ რა გამაჩერებს, ვმოძრაობ.

● ***გამოდის, რომ თქვენი მოძრაობა შეძლებისდაგვარად ამოძრავებს ქართულ ჭიდაობას კახეთის რეგიონში.***

— ასე გამოდის. ყოველ შემთხვევაში, ხელჩამოშვებული არ ვარ.

● ***წარმატებას გისურვებთ.***

ესაუბრა ც. ბაქრაძე

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II ფრე)

# პირველი ჯგუფი XXVII ტური

### ლოკომოტივი (თბილისი) — მერანი-91 (თბილისი) 1-0

***ლოკომოტივი:*** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (კაციაშვილი, 65). გოგობერიშვილი, კ. მელქაძე, შ. ხუჯაძე (დ. გოდერძიშვილი, 46), ბარბაქაძე, ღუდუშაური (ნ. მინდიაშვილი, 79), წივწივაძე.
***მერანი-91:*** ლომაია, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, ასპინძელაშვილი, გელა ქორიძე, დ. ჯიშკარიანი (ბ. ჯელიძე, 84), ბ. ამბიძე, ბერაია (თოლორდავა, 46), ჩუხუა, დავითაშვილი.
***გოლი:*** ღუდუშაური (41).
***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

მერანელებს უიღბლობა დასჩემდათ, მეორე მატჩია ამ გუნდს გოლი ვერ გააქვს, თუმცა მაინცდამაინც ვერც კარგი თამაშით მოიწონებს თავს. „ლოკომოტივსაც“ არ უჩვენებია შთამბეჭდავი სანახაობა, მაგრამ დამსახურებულად კი გაიმარჯვა. თემურ მახარაძის ბიჭები უფრო დინამიურად, აგრესიულად მოქმედებდნენ, თუმცა, როგორც წესი, დამამთავრებელ ფაზაში დიდი ვერაფრით სჯობდნენ მეტოქეს.

...ბახვა ამბიძეს რომ ეყოჩაღა, პირველი გოლის ფაქტორს შესაძლოა თამაშისთვის სულ სხვა იერი მიეცა, მაგრამ ასე არ მოხდა და შეხვედრის ფავორიტად შერასხულმა „ლოკომოტივმა“ თავისი სცენარით წარმართა შეხვედრა. სტუმრები კი გაუძალიანდნენ რკინიგზელებს, მაგრამ მატჩის შემობრუნების პოტენცია მათში ნაღდად არ სჩანდა, თუმცაღა შეცვლაზე შემოსულ თოლორდავას ერთი-ორჯერ არც თუ ისე ცუდი შანსი ჰქონდა.

**დათო თავართქილაძე**

## ტექნიკური შედეგები

### ტორპედო (ქუთაისი) — დინამო (თბილისი) 3-1

***ტორპედო:*** ჰანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (მეტრეველი, 31), ვაჩიბერაძე (ჩხაბერიძე, 83), ჩხეტიანი (მაზანაშვილი, 75), თურმანიძე.
***დინამო:*** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, ჯინჭარაძე, მაჭავარიანი, ა. სახვაძე (გოგიჩაიშვილი, 46), კიკნაძე (ჩომახიძე, 62), ალექსიძე, ტუღუში (ქებაძე, 73), აშვეთია, გუჩუა.
***გოლები:*** ვაშაკიძე (14, ავტოგოლი), აშვეთია (47), ჩხეტიანი (56), დ. ჯანაშია (85).
***გააფრთხილეს:*** ხვადაგიანი, მიქაძე, გუჩუა.
***გააძევეს:*** ვაშაკიძე, 83.
***მსაჯი:*** ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

### იბერია (სამტრედია) — გორდა (რუსთავი) 1-2

***იბერია:*** ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, (მიქელთაძე, 56), გეგეშიძე, მუმლაძე, თოდუა, ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ფილიპაშვილი (ვარდიაშვილი, 46).
***გორდა:*** მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე (მ. სახვაძე, 84), ჩიგოშვილი, ზირაქაძე, კიტეიშვილი, პატარიძე, ლ. ალადაშვილი (მ. ლაბაძე, 86).
***გოლები:*** ალადაშვილი (50), ლურსმანაშვილი (59), პატარიძე (65).
***გააფრთხილეს:*** ჩიგოშვილი, მუმლაძე.
***მსაჯი:*** ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი).

### ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — სიონი (ბოლნისი) 2-0

***ვიტ-ჯორჯია:*** ჰურაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი, გ. ჰანკოტაძე, ზ. გვაზავა, დ. დოლიძე (ერაძე, 84), მაზიაშვილი (ი. კაპანაძე, 88), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (გ. გვაზავა, 76).
***სიონი:*** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, სვანიძე, ისიანი, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ლ. გაგუა, 46), გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ტყავაძე, მოსეშვილი.
***გოლები:*** ქორიძე (7), დოლიძე (52).
***მსაჯი:*** გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

### დილა (გორი) — არსენალი (თბილისი) 1-2

***დილა:*** თ. ილურიძე, ფეზუაშვილი, ლომიძე, გაგნიძე, აკოფიანი (ხიხალაშვილი, 83), ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მ. მინდიაშვილი (სულთანიშვილი, 46), რ. ახალკაცი, შატაკიშვილი.
***არსენალი:*** ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მაისურაძე, ზირაქიშვილი, ხოსროშვილი, აბაზაძე, ამირიძე, კაკაშვილი.
***გოლები:*** მაისურაძე (45), ზირაქიშვილი (57), მარეხაშვილი (58).
***გააფრთხილეს:*** ჩლაიძე.
***მსაჯი:*** დავით სანაია (სოხუმი).

### გურია (ლანჩხუთი) — სამგურალი (წყალტუბო) 2-3

***გურია:*** გოგუა (რ. ჩხაიძე, 71), თ. ჩხაიძე, შ. მახარაძე (სულაქველიძე, 46), სვანიძე, გულორდავა, შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ძოძუაშვილი, 46), ბოლქვაძე.
***სამგურალი:*** ბობოხიძე, მახვილაძე, ბურნაძე, გიორგობიანი, ვოსკანოვი (ჯავახაძე, 71), ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია, სუხიაშვილი, პეტრიაშვილი (ქუთათელაძე, 61), შენგელია (გლუნჩაძე, 53).
***გოლები:*** ძაგნიძე (28), შენგელია (52), დ. მახარაძე (66, პენ.), კილასონია (69), დ. მახარაძე (81).
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

### ოდიში (ზუგდიდი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-2

***ოდიში:*** გოგია, გაბისონია, შონია, აკობია, კაკულია, შელია, ცაცუა, კუტალია, იოსავა, გოგოხია (ტაბაღუა, 57), გვიჩია.
***კოლხეთი-1913:*** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა გიორგაძე, ანჯაფარიძე, ღალანიძე (ამაშუკელი, 74), ტრაპაიძე, ბულუხია, ე. გვასალია (შავგულიძე, 74), კალანდაძე, ქობულაძე (შალამბერიძე, 74).
***გოლები:*** ე. გვასალია (5), გიორგაძე (10).
***გააფრთხილეს:*** ცაცუა, ამაშუკელი.
***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

### გათამაშების ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 21 | 5 | 1 | 76-15 | 68 |
| ტორპედო | 27 | 19 | 4 | 4 | 66-24 | 61 |
| ლოკომოტივი | 27 | 15 | 10 | 2 | 34-13 | 55 |
| კოლხეთი | 27 | 13 | 6 | 8 | 53-35 | 45 |
| დინამო ბთ. | 26 | 10 | 11 | 5 | 35-19 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 27 | 12 | 4 | 11 | 36-27 | 37 |
| მერანი | 27 | 9 | 9 | 9 | 25-27 | 36 |
| იბერია | 27 | 10 | 5 | 12 | 40-42 | 35 |
| დილა | 27 | 10 | 5 | 12 | 35-45 | 35 |
| არსენალი | 27 | 8 | 11 | 8 | 31-41 | 35 |
| გორდა | 27 | 7 | 10 | 10 | 26-38 | 31 |
| სამგურალი | 27 | 8 | 3 | 16 | 27-50 | 27 |
| თსუ | 26 | 6 | 9 | 11 | 21-29 | 27 |
| სიონი | 27 | 6 | 7 | 14 | 25-47 | 25 |
| ოდიში | 27 | 6 | 2 | 19 | 20-55 | 20 |
| გურია | 27 | 3 | 3 | 21 | 28-71 | 12 |

# 12 მაისს საქველმოქმედო მატჩია

### ბოსკამპი და ხურცილავა პირველად წარსდგებიან გულშემატკივრების წინაშე თავიანთი გუნდებით

*ფეხბურთის მოყვარულები, ცხადია, მოუთმენლად მოელოდნენ თუ რა ცვლილებებს ჩაატარებდნენ ჩვენი ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების ახალი მესაჭეები. 12 მაისს მათ ამის შესაძლებლობა ორივე ნაკრების საშინაო-საქველმოქმედო მატჩში მიეცემათ. შემოსავალი მოხმარდება აფხაზეთის ფეხბურთის განვითარებას. ბილეთი 1 ლარი ეღირება. მატჩი დაიწყება 18 საათზე ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.*

## პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ თასის გათამაშება მინიფეხბურთში

### I ტური

ფალავანი — ლიდერი 7-1
ვაკე-75 — დილომი 3-5
მეტეხი — კავკასიონი 6-1
მაესტრო — მეტროპოლიტენი 3-2
დიდუბე — ვაკე I 0-12
მთაწმინდა — ვერა 1-2
სარბიელი — 7 დღე 1-4
სპორტ. საქართველო — თემქა 3-2
სონიკი — პლატო-99 2-3
დრონი — მილანი (ავლაბარი) 5-0

### II ტური

მთაწმინდა — 7 დღე 8-1
სარბიელი — თემქა 3-2
სპორტ. საქართველო — პლატო-99 6-3
სონიკი — მილანი (ავლაბარი) 1-7
დრონი — ლიდერი 2-0
ფალავანი — დილომი 2-2
ვაკე-75 — კავკასიონი 3-5
მეტეხი — მეტროპოლიტენი 5-1
მაესტრო — ვაკე-I 1-0
დიდუბე — ვერა 1-12

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვერა | 2 | 2 | 0 | 0 | 14-2 | 6 |
| 2. მეტეხი | 2 | 2 | 0 | 0 | 11-2 | 6 |
| 3. დრონი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 4. სპორტ.საქართ. | 2 | 2 | 0 | 0 | 9-5 | 6 |
| 5. მაესტრო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 6. ფალავანი | 2 | 1 | 1 | 0 | 9-3 | 4 |
| 7. დილომი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-5 | 4 |
| 8. ვაკე I | 2 | 1 | 0 | 1 | 12-1 | 3 |
| 9. მთაწმინდა | 2 | 1 | 0 | 1 | 9-3 | 3 |
| 10. მილანი (ავლ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 7-6 | 3 |
| 11. პლატო-99 | 2 | 1 | 0 | 1 | 6-8 | 3 |
| 12. სარბიელი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-6 | 3 |
| 13. კავკასიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-9 | 3 |
| 14. 7 დღე | 2 | 1 | 0 | 1 | 5-9 | 3 |
| 15. თემქა | 2 | 0 | 0 | 2 | 4-6 | 0 |
| 16. ვაკე-75 | 2 | 0 | 0 | 2 | 6-10 | 0 |
| 17. მეტროპოლიტენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |
| 18. სონიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-10 | 0 |
| 19. ლიდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |
| 20. დიდუბე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-24 | 0 |

## XXVII ტურის სტატისტიკა

- ტურის ***მოვლენაა*** თბილისის „დინამოს“ პირველი მარცხი ჩემპიონატში. ამრიგად, არ დარჩენილა არც ერთი გუნდი, რომელსაც წაგება არ განუცდია.
- ტურის „მიღწევად“ შეიძლება ჩაითვალოს:

1. ზუგდიდის „ოდიშისა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შესაბამისად ზედიზედ მე-8 და მე-10 მარცხი.
2. ქუთაისის „ტორპედოს“ ზედიზედ მე-4 გამარჯვება.
3. ისევე როგორც V და XIX ტურებში, ასევე ამ ტურის არც ერთი მატჩი ფრედ არ დამთავრებულა.
4. ისევე როგორც XI, XIII, XVII და XX ტურებში, ამ ტურში არ დაფიქსირებულა არც ერთი „დიდი“ ანგარიშით გამარჯვება.

- ტურის 7 მატჩში („დინამო“ ბთ — თსუ გადაიდო) გატანილია 20 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,8 ბურთი). მასპინძლებმა და სტუმრებმა გაიტანეს 10-10 ბურთი. საერთოდ ჩემპიონატის დაწყებიდან ჩატარებულ 214 მატჩში (ერთი შეხვედრა „მერანი“ — „გურია“ არ შედგა და „დინამო“ ბთ. — თსუ გადაიდო) გატანილია 575 ბურთი, რაც შეადგენს საშუალოდ ერთ მატჩში 2,68 გოლს. მასპინძლებმა გაიტანეს 337 ბურთი, რაც შეადგენს გატანილი გოლების 58%, ხოლო სტუმრებმა 238 ბურთი, რაც შეადგენს 42%-ს.
- ტურში დაინიშნა ერთი „პენალტი“ (გაიტანა დ. მახარაძემ, „გურია“). სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 65 „პენალტი“ (რეალიზებულია 53).
- ტურში დუბლი შეასრულა ერთმა ფეხბურთელმა (დ. მახარაძემ). ეს ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირებული 62 დუბლია.
- შეინახეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: მ. გვასალიამ („კოლხეთი-1913“ სულ 5-ჯერ, ლ. დოლაბერიძემ („ლოკომოტივი“) — 5-ჯერ, ს. ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია“) — 12-ჯერ.
- ტურში ერთი ფეხბურთელი (ვაშაკიძე — „დინამო“ თბ.) გააძევეს. საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან მსაჯებმა 31 წითელი ბარათი აჩვენეს ფეხბურთელებს.
- **ბომბარდირები:**

მ. აშვეთია („დინამო“ თბ.) — 21 ბურთი.
დ. მახარაძე („გურია“) — 17
ზ. იონანიძე („ტორპედო“) — 15
ლ. ხომერიკი („დინამო“ ბთ.) — 14
დ. ჯანაშია („ტორპედო“) — 14
ჰ. წივწივაძე („ლოკომოტივი“) — 13
ე. გვასალია („კოლხეთი“) — 13
გ. მეგრელაძე („ტორპედო“) — 12
რ. ალექსიძე („დინამო“ თბ.) — 11
ზ. ზირაქიშვილი („არსენალი“) — 11
გ. შენგელია („სამგურალი“) — 10.

**ვეფხვია ჯალაღონია, აფხაზეთი. სოფ. ფშაფი**

# თანამედროვე ფეხბურთი და მედიცინა

ცნობილია, რომ ფეხბურთი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ნომერ პირველ სპორტის სახეობადაა აღიარებული, რომლის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანთა ძალიან დიდი ნაწილი.

კინოსურათებითაც ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ უკანასკნელი 30-40 წლის მანძილზე ფეხბურთმა განვითარების ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. შესაძლოა თანამედროვე ფეხბურთში დღეს ხშირად ვერ ვხედავთ ვარსკვლავთა ულამაზეს ინდივიდუალურ თამაშს, სამაგიეროდ, მოწმენი ვხდებით თუ როგორი ძლიერი და თითქოს სასტიკი თამაშით ატარებენ მაღალი კლასის გუნდები მატჩებს, რასაც საფუძვლად უდევს ფანტასტიკური გამძლეობის ფონზე, ძალის, სისწრაფის, ტექნიკისა და ტაქტიკის გამოვლინება, ამ მხრივ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად ტრანსფორმაცია მოხდა.

ყველას გვახსოვს ძველი სუპერვარსკვლავებად წოდებული, ფეხბურთელები, მაგრამ დღეს მათ უმრავლესობას, იმდროინდელი ფიზიკური მომზადებით, აშკარად გაუჭირდებოდათ ეთამაშათ ისევე ბრწყინვალედ. ორგანიზმის ფიზიკური მუშაობის უნარი მათ ამის საშუალებას არ მისცემდა. დღეს ფეხბურთი მოითხოვს თითოეული მოთამაშისაგან მაღალ და ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას, ვინაიდან მარტო ტექნიკის და თუნდაც სწორი და დახვეწილი ტაქტიკით მაღალი შედეგის მისაღწევად ფონს ვერ გახვალ.

ქართულ ფეხბურთში ჩავარდნებმა, შეიძლება ითქვას, ეროვნული ტრაგედიის იერი შეიძინა. მაგრამ, ახლა იმის დრო არ არის, ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორი იყო ქართული ფეხბურთი. წარსულის გახსენება დღევანდელ მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. დღეს ყველას გვმართებს მოვძებნოთ საჭირო გზები და დავსახოთ ის აუცილებელი ღონისძიებები, რომელთა უახლოეს დროში გატარება წაადგებოდა ჩვენს ფეხბურთს. ეს შესაძლებელია მოხდეს თუ ყოველი ჩვენთაგანი, ვისაც ეხება ფეხბურთის (საერთოდ სპორტის) შემდგომ პროგრესზე ზრუნვით ერთმანეთთან იქნებიან გულახდილნი და კოლეგის (მეგობრის) კრიტიკულ და სამართლიან შენიშვნას მტკივნეულად არ მიიღებენ.

სპორტულ მედიცინაში და, შესაბამისად, სპორტში თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში ჩემმა მუშაობამ დამარწმუნა, რომ სამწუხაროდ, ფეხბურთში მწვრთნელთა უმრავლესობა თანამედროვე დონეზე არ იდგა და არც დღესაა ამისთვის მომზადებული. ძალიან ბევრი მწვრთნელი სუსტად ერკვევა ფეხბურთელთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადების საკითხებში. როგორ შეიძლება, რომ თანამედროვე მწვრთნელი კმაყოფილდებოდეს იმ პრიმიტიული საექიმო შემოწმების მონაცემებით, რასაც დღესაც გადიან ჩვენი ფეხბურთელები. ბუნებრივია, თუ არ იცი მოთამაშის ფიზიკური მუშაობის უნარის დონე და მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიური სისტემების ფუნქციური მდგომარეობა, სწორედ ვერ წარმართავ ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების პროცესს, რაც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია მოთამაშეთა ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებასთან.

ისიც ხომ ცნობილია, რომ ფეხბურთელთა მომზადება მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას, მაგრამ ამისათვის საკმარისი არ არის ვიცოდეთ მათი ტექნიკური მონაცემები, რათა სწორად შეურჩიოთ თამაშის ადგილი და დავავალოთ ამა თუ იმ ფუნქციის შესრულება. ეს თავისთავად, მაგრამ მწვრთნელმა უნდა იცოდეს რა ფუნქციური შესაძლებლობა გააჩნია ფეხბურთელის ორგანიზმს, რათა ფეხბურთელის საერთო მომზადების დონე უმაღლეს კონდიციამდე მივიდეს, რის მიღწევაც მხოლოდ წვრთნის სწორი მართვით შეიძლება. რაც შეეხება წვრთნის პროცესის სწორ მართვას, იგი მედიცინის გარეშე შეუძლებელია. აქაც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მედიცინის მონაწილეობით ქართულ ფეხბურთში საქართველოში წვრთნის მართვა ძირითადად არ ხორციელდება, რაშიც პირველ რიგში, ისევ და ისევ მწვრთნელები სცოდავენ.

ფეხბურთელების ორგანიზმის ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარების და ფუნქციურ (ფიზიკური მუშაობის უნარის) მდგომარეობაზე სპორტული სეზონის განმავლობაში მწვრთნელები, გარდა ტრავმების შემთხვევებისა, ძალიან უმნიშვნელო ინფორმაციას იღებენ. ამას თავისი მიზეზიც გააჩნია — თუ ადრე ფეხბურთელები წელიწადში ოთხჯერ გადიოდნენ სხვადასხვა მოცულობით საექიმო შემოწმებას (საექიმო კონტროლს) დღეს ისინი, უმრავლეს გუნდებში, მხოლოდ ერთხელ გადიან შემოწმებას ჩემპიონატის წინ, ასე რომ, ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის ანალიზი პრაქტიკულად იშვიათად თუ ხდება.

ცნობილია, რომ სპორტსმენთა (ფეხბრთელთა) მომზადების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. საექიმო-პედაგოგიურ მეთვალყურეობას, ანუ კონტროლს. ეს მუშაობა მწვრთნელებისა და სამედიცინო პერსონალის მიერ ერთობლივად ტარდება. მუშაობის ეს ფორმა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა შემოწმდეს სპორტსმენის (ფეხბურთელის) ორგანიზმის რეაქცია მაქსიმალურ ფიზიკური დატვირთვების შესრულებასთან დაკავშირებით. ამ დროს ვლინდება რამდენად სწორად ეძლევა ფიზიკური დატვირთვა სპორტსმენს (ფეხბურთელს), უამისოდ ძალიან ძნელდება მისი ფიზიკური კონდიციების გამოვლინება და საწვრთნო პროცესის სწორად წარმართვა. ამ შემთხვევაშიც ჩვენში, ფეხბურთში, ასეთი მუშაობა პრაქტიკულად არ ტარდება, ამიტომ მწვრთნელები „სიბნელეში“, ხელის ცეცებით მუშაობენ.

გუნდების ექიმები და, რასაკვირველია, მწვრთნელები, სამედიცინო თვალსაზრისით, ძირითად ყურადღებას ტრავმებზე ამახვილებენ. ეს, რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს არა ტრავმების მკურნალობაზე, არამედ მათ პროფილაქტიკაზე. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მახვილდებოდეს მიკროტრავმების პროფილაქტიკურ მკურნალობაზე, რასაც უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენს გუნდებში, ჯერ კიდევ ასევე ნაკლები ყურადღება ეთმობა.

ცხადია, ფეხბურთელთა რეაბილიტაციის, ანუ შრომის უნარის აღდგენის პრობლემა ყოველთვის ყურადღების ქვეშ უნდა იყოს, მაგრამ მისი ეფექტურად ჩატარება მოითხოვს საჭირო სამედიცინო მეთვალყურეობის დაწესებას, განსაკუთრებით თამაშების შემდეგ, როდესაც ფეხბურთელებს სისტემატურად აღდგენითი ხასიათის პროცედურები (შხაპი, აბაზანა, საუნა, აუზში ცურვა, მასაჟი, სათანადო პრეპარატების მიღება და სხვ.) უნდა უტარდებოდეთ. ამ მხრივ ჩვენს გუნდებში სათანადო მუშაობა, მართალია, ტარდება, მაგრამ მისი მეცნიერული ანალიზი არ კეთდება.

ფეხბურთელთა სპორტული ფორმის მთელი სეზონის განმავლობაში შენარჩუნება საკმაოდ რთული საქმეა. ამ მიზნით, გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, ყურადღება უნდა ეთმობოდეს რეჟიმის დაცვას — რაციონალური დასვენება (ძილი), კვება, მავნე ჩვევების თავიდან აცილება და სხვ. აი, ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა რეგულირების გარეშე სპორტსმენი ვერ შეძლებს შეინარჩუნოს „სპორტული ფორმა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა, რა გარანტია გაქვს, რომ ჩვენს ნაკრებში მოწვეული ყველა „ლეგიონერი“ აუცილებლად გვაჩვენებს მაღალი კლასის თამაშს? ისინი ყოველთვის ხომ არ არიან სათანადოდ მომზადებულნი და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, კარგად არიან შეთამაშებული სხვა მოთამაშეებთან. ამიტომ, ჩვენს ნაკრებს ყოველთვის უნდა ჰყავდეს არა ნაკლები 7-8 მოთამაშე. ისე მომზადებული, რომ მათ საკუთარ თავზე აიღონ მატჩის მთელი სიმძიმე. ასეთ ვითარებაში ლეგიონერებს უფრო ადვილად მიეცემათ საშუალება გამოავლინონ თავიანთი მაღალი ოსტატობა თუ, რასაკვირველია, ვიმეორებ, იმ დროსათვის ისინი სათანადო „სპორტულ ფორმაში იქნებიან“.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე აღნიშნულის შესახებ ლაპარაკი და წერა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ამ ღონისძიებების გუნდებში პრაქტიკულად განხორციელება. დღეს ფეხბურთის გუნდებში მუშაობა ერთობ რთულ საქმედ იქცა, როგორც მწვრთნელების, ისე სამედიცინო პერსონალისათვის (ექიმი, მასაჟისტები და სხვ.) ვინაიდან ფეხბურთელის სპორტული ფორმიდან გამოსვლა ან ფარულ პათოლოგიურ მდგომარეობაში გადასვლა დასაწყისში ძნელი შესამჩნევია, მათზე მეთვალყურეობა დიდ ყურადღებას მოითხოვს.

რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს ფეხბურთში მედიცინის გამოყენების თვალსაზრისით? შეიძლება ითქვას, არასახარბიელო, გარდა თბილისის „დინამოს“ და კიდევ ერთი ან ორი გუნდისა. თუმცა, იქაც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ბუნებრივია, რომ საქართველოს ნაკრებს ესაჭიროება სამედიცინო უზრუნველყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებული მიდგომა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფეხბურთის ფედერაციაში აღდგეს ე.წ. საექიმო კომისია, რომელსაც დაევალება ფეხბურთელთა სამედიცინო უზრუნველყოფის საქმის გაძღოლა. კომისიამ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს საქართველოს სპორტული მედიცინის ფედერაციასთან, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრებთან და მთელ რიგ სხვა სამედიცინო სამეცნიერო დაწესებულებებთან, რომელთა დახმარებით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება.

სამწუხაროდ, ის შენიშვნები და დამატებები, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისიის მიერ პროექტში იყო შეტანილი, დღეს პრაქტიკულად არ ხორციელდება, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი ფეხბურთის განვითარებაზე. რასაკვირველია, თანამედროვე ფეხბურთს ესაჭიროება უკეთესი მატერიალური დახმარება, ვიდრე დღეს აქვს.

დასასრულ ვიტყვი, რომ არც ერთი სპორტის სახეობა და, მათ შორის ფეხბურთი, განვითარების უმაღლეს საფეხურს ვერ მიაღწევს მეცნიერების გარეშე. აქ კი ერთ-ერთი წამყვანი, თუ გნებავთ საფუძველთა საფუძველი, მედიცინაა...

**რომანოზ სვანიშვილი,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი.

11 – 13 მაისი, 1999

# პაიდა, პა – „ბულონი“!

## გიორგი კილასონიას მესამე ცდა

საფრანგეთი ქართველი ლეგიონერებისათვის ყველაზე ძნელად „ასათვისებელი“ ქვეყანა გამოდგა – გია გურული პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ჩვენებურია, ვისაც იქ უასპარეზია. თუმცა, მალე შეიძლება ისე მოხდეს, რომ ერთდროულად ორმა ქართველმა ფეხბურთელმა დაუკავშიროს თავისი ბედი საფრანგეთს – მეოთხე დივიზიონის „ბულონი“ დიდად არის დაინტერესებული ვარლამ და გიორგი კილასონიების შეძენით. ძმები კილასონიები ახლახანს დაბრუნდნენ ბულონიდან, სადაც ერთი კვირა დაჰყვეს და თავიც მოაწონეს კლუბის ხელმძღვანელებს. ფრანგული შთაბეჭდილებების გაზიარება უმცროს კილასონიას – გიორგის ვთხოვეთ, რომელიც, როგორც ცნობილია, ამჟამად წყალტუბოს „სამგურალის“ ღირსებას იცავს.

– ბულონში მე და ჩემი ძმა ერთი კვირა ვიყავით და ამ დროის განმავლობაში მასპინძლობას გია გურულის სტუმართმოყვარე ოჯახი გვიწევდა. სხვათა შორის, გიას, რომელიც ამჟამად ბიზნესს ეწევა, ქალაქში ყველა დიდ პატივს სცემს.





● ***ქალაქი ბულონი რას წარმოადგენს?***

– ბულონი საფრანგეთის ჩრდილოეთში მდებარეობს, პირდაპირ ლა-მანშის სრუტესთან. არც ისე დიდი ქალაქია – 200.000 კაცი ცხოვრობს და ყველას საქომაგო ობიექტი ამავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბია, რომელიც საფრანგეთის IV დივიზიონში გამოდის.

● ***კლუბის ფეხბურთელები, ალბათ, არაპროფესიონალები არიან.***

– კი, ყველა მოყვარულია – კვირაში მხოლოდ ორჯერ ვარჯიშობენ, დანარჩენ დროს თავისი პროფესიით მუშაობენ. ისე, მეოთხე დივიზიონის გუნდია და ბაზა თუ სავარჯიშო მოედნები ისეთი გააჩნია, ჩვენთან რომ სანატრელი აქვს ნებისმიერ გუნდს. სტადიონიც კოპწიაა – 8000 კაცი ეტევა და თითქმის ყველა თამაშზე სრული ანშლაგია.

● ***და მაინც, მეოთხე დივიზიონია...***

– გასაგებია, მაგრამ ძალიან დაბალი დონე სულაც არ არის. აი, მაგალითად საფრანგეთის თასზე მერვედფინალამდე მიაღწია, ორი თვის წინათ კი ამხანაგურ მატჩში „ლივერპულიც“ დაამარცხა (2-1), თანაც ინგლისელებს მაიკლ ოუენის გარდა, ყველა ჰყავდა შემადგენლობაში. შეიძლება არც დაიჯეროთ – „ბულონს“ 90 (!) სპონსორი ჰყავს (აქედან 3 ძირითადია).

● ***ახლა შენზე და შენ ძმაზეც გვითხარი რამე...***

– გუნდთან ერთად ორი ვარჯიში ჩავატარეთ, სხვათა შორის, ძალიან კარგად მიგვიღეს – ფეხბურთელებთანაც და ხელმძღვანელობასთან საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. შემდეგ ერთი ამხანაგური თამაშიც ვითამაშეთ იმავე მეოთხე დივიზიონის გუნდთან და 2-0 მოვიგეთ.

● ***ძმები რა პოზიციაზე თამაშობდით?***

– ვარლამი თავდასხმაში იყო, მე კი ნახევარდაცვის ცენტრში. ისე, ორი რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე, თან ორივეჯერ ჩემი ძმა მიწევდა ასისტენტობას.

● ***კლუბის ხელმძღვანელობამ როგორი შეფასება მისცა თქვენს თამაშს?***

– ჩვენი თამაში მოეწონათ და „ბულონში“ ჩარიცხვას, ალბათ, წინ აღარაფერი უდგას. ეგ არის მხოლოდ, საკონტრაქტო თანხაზე ვერ მოვილაპარაკეთ. თუმცა, ხელმძღვანელები შეგვპირდნენ, რომ თბილისში ჩამოვიდოდნენ – 23 მაისს, ალბათ, ვარლამის თამაშს დაესწრებიან, 26 კი თასის ფინალს.

● ***რახან ფინალი ახსენე, გულახდილად გვითხარი – ელოდი რომ „სამგურალი“ ფინალში გავიდოდა?***

– ოცნებით როგორ არა, მაგრამ რეალურად ვერც წარმოვიდგენდი. მაგრამ როცა მეოთხედფინალში „ვიტ-ჯორჯია“ დავამარცხეთ, უკვე იმის იმედიც გაჩნდა, რომ ნახევარფინალშიც წარმატებით ვითამაშებდით. არადა, ყველა, მათ შორის, „სამგურალის“ ფეხბურთელები თვლიდა, რომ თბილისის „ლოკომოტივთან“ ძალიან მცირე შანსები გვქონდა. ისე, პირველ მატჩში ცოტა იღბალმაც გადმოგვხედა, აი, განმეორებით შეხვედრაში კი არაფერი დავუთმეთ მართლაც ძლიერ მეტოქეს.

● ***მეორე წრის დასაწყისში ორივე კილასონია „ლოკომოტივში“ იყავით, წყალტუბოში როგორღა აღმოჩნდი?***

– რა პირობებზეც მოვილაპარაკეთ თბილისური კლუბის ხელმძღვანელობასთან, თავის დროზე ვერ შემისრულეს და, არ დავმალავ, ცოტა ნაწყენიც წამოვედი „ლოკომოტივიდან“. ამ დროს კი „სამგურალმა“ რაც შემომთავაზა, ყველაფერი შეასრულა. თანაც, ჩემს გარდა, ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი მოვიდა „სამგურალში“ – სანდრო ბურნაძე, მამუკა აფციაური, მალხაზ ვოსკანოვი, ირაკლი გიორგობიანი, გიორგი სუხიაშვილი; სულ მალე, ალბათ, ბესიკ ბერაძეც დაგვემატება.

● ***ფინალში ფავორიტად ყველა ქუთაისის „ტორპედოს“ მიიჩნევს...***

– რა თქმა უნდა – ძლიერი გუნდია და შემთხვევით არ არის მეორე ადგილზე ეროვნულ ჩემპიონატში. მაგრამ, თასის თამაში, მით უმეტეს, ფინალი სულ სხვა რამ არის და წინასწარ პროგნოზის გაკეთებაც ერთობ ძნელი საქმეა. ყოველ შემთხვევაში, მეც და „სამგურალის“ ყველა ფეხბურთელი დიდი მონდომებით ვემზადებით ამ თამაშისათვის – ბოლოს და ბოლოს ასეთი მატჩები კარიერაში ბევრი ხომ არ არის. თანაც, პირადად მე მესამედ უნდა ვითამაშო თასის ფინალში და ნაღდად არ მინდა კიდევ ხელმოცარული დავრჩე – ერთხელ „გორდას“ შემადგენლობაში წავაგეთ თბილისის „დინამოსთან“, მეორედ – დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ რომ ვთამაშობდი, უკრაინის თასის ფინალში დავმარცხდით „შახტიორთან“...

ბივი ტიბანელი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ავსტრალია – მსოფლიო ნაკრები

ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებს, როგორც ადრე ცნობილი გახდა, 12 ივნისს, სიდნეიში, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ეპიცენტრის – ოლიმპიური სტადიონის გახსნის ცერემონიალის პროგრამით შეხვდება მსოფლიო ნაკრები, რომელიც ფიფამ შეადგინა. მატჩში მონაწილეობაზე ფიფას თანხმობა უკვე აცნობეს მეკარეებმა: კეპკემ (გერმანია), ლამამ (საფრანგეთი), რომ (არგენტინა), მცველებმა: ბლანმა, დესაიმ (ორივე – საფრანგეთი), სეზარმა (ბრაზილია), კოსტაკურტამ (იტალია), მუსტაფამ (მაროკო), გამარამ (პარაგვაი), იერომ (ესპანეთი), სონგმა (კამერუნი), ვერლატმა, ვინტერმა (ორივე – ჰოლანდია), უესტმა (ნიგერია), შუა ხაზის და შეტევის მოთამაშეებმა: ზიდანმა, ჯორკაეფმა (ორივე – საფრანგეთი), ბატისტუტამ, რედონდომ, ვერონმა (სამივე – არგენტინა), შევჩენკომ (უკრაინა),ბეკხემმა (ინგლისი), პიერომ, ვიერიმ (ორივე – იტალია), ფიგუმ (პორტუგალია), გიგზმა (უელსი), კლინსმანმა (გერმანია), ლეონარდომ (ბრაზილია), ნაკატამ (იაპონია), რაულმა (ესპანეთი), სფორცამ (შვეიცარია), ვეამ (ლიბერია), იორკმა (ტრინიდადი და ტობაგო). მსოფლიო ნაკრებს მატჩში ფრანგთა საფეხბურთო სარდალი ემე ჟაკე უხელმძღვანელებს.

### რუსეთში ფეხბურთი პროფესია შეიძლება გახდეს

**ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვლება თუ რუსეთის შრომისა და სოციალური განვითარების სამინისტრო მოიწონებს პროექტს, რომელიც ამ სამინისტროს წარუდგინა ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა კავშირმა, რუსეთის ფეხბურთის კავშირთან ერთად. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ფეხბურთელის პროფესია ოფიციალურად დარეგისტრირდება, რაც პირველი შემთხვევა იქნება რუსეთის სპორტის ისტორიაში.**

### ტარხანოვი ავადაა და გულგატეხილია

სამარის „კრილია სოვეტოვის“ მთავარი მწვრთნელის ალექსანდრ ტარხანოვის ავადმყოფობის გამო ეს კლუბი უპატრონოდ ორ კვირაზე მეტ ხანს დარჩა. საავადმყოფოდან გამოწერის, მაგრამ შინ წოლითი რეჟიმის დანიშვნის შემდეგ, ტარხანოვმა განაცხადა: „ვიცი ახლა გუნდს თანადგომა უნდა, სამარაში თუნდაც მომაკვდავი ჩავიდოდი, მაგრამ ღირს კი თავი ჩაიგდო საფრთხეში გუნდისთვის, რომელიც, როგორც ჩანს, არავის არ უნდა?“ ტარხანოვი გულდაწყვეტილია, რომ საავადმყოფოში და შინ წოლისას მისთვის თანაგრძნობით არავის დაურეკავს, ფეხბურთელების, კლუბის ხელმძღვანელებისა და ჟურნალისტების გარდა. „სამარაში უკვე სულ ერთია, იქნება თუ არა საფეხბურთო გუნდი“ – ამბობს ტარხანოვი.

### აბა, აწი ნახეთ!

**საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, უცხოეთისგან განსხვავებით, ფსიქოლოგის როლს სპორტულ გუნდში ჯეროვნად დღემდე ვერ აფასებენ. თუმცა, გამოჩნდნენ „სხვაგვარად მოაზროვნე“ მწვრთნელებიც. მაგალითად, რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის I დივიზიონში მონაწილე კალინინგრადის „ბალტიკის“ მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ დერგაჩმა – კატეგორიულად მოითხოვა გუნდში ფსიქოლოგთა მოწვევა, რაც დაკმაყოფილდა – ორი ფსიქოლოგი უკვე შეუდგა მუშაობას. არადა, „ბალტიკა“ სულაც არ არის მაჩანჩალა გუნდი – ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა. ჰოდა, აწი ნახეთ, რა იქნება.**

### კალათბურთის მატჩები 4 პერიოდად, ორი ტაიმის ნაცვლად და სხვა სიახლეები

*(პირველი გვერდიდან)*

ური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს კი ნაცვლად ორისა, სამი მსაჯი მოემსახურება. ამასთან, 2000 წლის I ივლისიდან ყოველგვარი საკალათბურთო საზღვრები მოიშლება. – კლუბებს უფლება ეძლევათ იყოლიონ განუსაზღვრელი რაოდენობის უცხოელი მოთამაშეები და მოიხსნას ყოველგვარი შეზღუდვები ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში და, უპირველესად ევრო კლუბებში, ლეგიონერთა მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეროვნულ ფედერაციებს და ასოციაციებს კი უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ თუ რა რაოდენობის უცხოელმა კალათბურთელებმა ითამაშონ საშინაო შეჯიბრებებში.

ეს რევოლუციური ცვლილებები კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ცენტრალურმა საბჭომ ამ დღეებში გამართულ სხდომაზე დაამტკიცა.

### 2002 წელს გადადგება

როგორც გერმანული ჟურნალი „კიკერი“ იუწყება, 2002 წელს გადადგება უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი (შვეცია), რომელმაც ვერ შეისრულა მთავარი წადილი – ვერ გახდა ფიფას პრეზიდენტი.

### კვლავ მეკარის სნაიპერობის შესახებ

მექსიკის ნაკრების მეკარის ხორხე კამპოსისაგან განსხვავებით, რომელიც თავის კლუბში ზოგჯერ თავდასხმაში თამაშობს, მეორე განთქმული მეკარე. კოლუმბიელი რენე იგიტა ფორვარდობას არ იჩემებს, მაგრამ პენალტის დარტყმა კი უყვარს.

სწორედ მან გახსნა 11 მეტრიანით ანგარიში „ინდეპენდიენტესა“ (მედელინი) და „ინდეპენდიენტეს“ (სანტა-ფე) მატჩში, რომელიც მედელინელებმა მოიგეს ანგარიშით 4-2.

### 25 მაისს, რომში

**25 მაისს რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება მატჩი ევროპისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებ გუნდებს შორის. მასში მონაწილეობას მიიღებენ იტალიის ჩემპიონატში მონაწილე ვარსკვლავები.**

### ბრიტანელები თავიდან მოიცილეს?!

ლისაბონის „ბენფიკას“ დირექტორატმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ვადაზე ადრე უქმდება კონტრაქტი გრემ ხუნესთან, რომელიც კლუბთან წარუმატებლად მუშაობდა. მასთან ერთად კლუბს ტოვებს კიდევ ორი ბრიტანელი: ხუნესის თანაშემწე ფილ ბოერსმა და მცველი სტივ ჰარკნესი.




### საფრანგეთის თასი – „ლანსს“

**„ლანსმა“, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონობას კარგა ხანია გამოეთხოვა, კვირას მაინც შეძლო რეაბილიტაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქომაგების თვალში.**

**მან საფრანგეთის თასის ფინალში ანგარიშით 1-0 სძლია „მეცს“.**

### რჩება 6 პრეტენდენტი

მას შემდეგ, რაც ფიფამ არ მიიღო ოფიციალური მიმართვა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ორი პრეტენდენტის – განისა და ეგვიპტის ფედერაციებისაგან, რჩება ამ შეჯიბრების გამართვის კიდევ ექვსი მსურველი: ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, ნიგერია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და მაროკო.

### ცნობები ესპანეთის ფეხბურთიდან

● „ბარსელონას“ მოლაპარაკება აქვს ამსტერდამის „აიაქსთან“ მეკარე ედვინ ვან დერ საარის ყიდვის შესახებ. თუ ეს გარიგება არ შედგა, კატალონური კლუბი აპირებს „აზ-67“-ის მეკარე ოსკარ მოენსის შეძენას. ამავე დროს, კლუბის ხელმძღვანელობამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში შეიტანა აპელაცია ლუიშ ფიგუს მინდვრიდან გაძევების გამო. ფიგუ ამტკიცებს რომ „ლა-კორუნიასთან“ შეხვედრისას მსაჯისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

● **„ვალენსიამ“ სამწლიანი კონტრაქტი დადო კამერუნელ თავდამსხმელ ჟერარ კომოლთან, რომელმაც ამას წინათ დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატში ახალგაზრდათა შორის ბომბარდირთა შეჯიბრებაში მესამე შედეგი აჩვენა.**

● მადრიდის „რეალმა“ გამოაცხადა, რომ ბარსელონის „ესპანიოლის“ ნახევარმცველ ივან ელგერასთან გააფორმა ხელშეკრულება.

● **მადრიდის „რეალმა“ ფულადი თანხით დააჯარიმა ხორვატი დავორ შუკერი, რომელმაც უმიზეზოდ გააცდინა ორი ვარჯიში.**

● „ვალიადოლიდის“ დირექტორატმა გადაწყვიტა მწვრთნელ სერგეი კრეშიჩის ნაცვლად მიიწვიოს ცნობილი სპეციალისტი ივიცა ოსიმი, რომელიც ახლა ავსტრიაში გრაცის „შტურმს“ ხელმძღვანელობს. ადრე კი, იუგოსლავიის დაშლამდე ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო.



### საყურადღებო ცნობები ბრაზილიიდან

**80-იანი წლების განთქმული თავდამსხმელი კარეკა, რომელსაც ორი წლის განმავლობაში არსად უთამაშია, უკვე დათანხმდა გამოვიდეს ქ. პორტუ-ალეგრის კლუბ „სან-ჟოზეს“ შემადგენლობაში და მონაწილეობა მიიღო კიდეც უახლოეს მატჩებში. ახლა „სან-ჟოზე“ უცდის მარადონას თანხმობას, რომელსაც ასევე გაეგზავნა მიწვევა.**

**„ვასკო და გამას“ პრეს-მდივნის მიერ გამოქვეყნებული ცნობის თანახმად ედმუნდო იტალიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რიო-დე-ჟანეიროში დაბრუნდება და უკვე მაისის მიწურულიდან დაიწყებს ამ კლუბში თამაშს.**

### მეკარეს კვლავ გააქვს გოლები

**გამოჩენილმა მექსიკელმა მეკარემ ხორხე კამპოსმა „უნამ“-ის შემადგენლობაში კვლავ ითამაშა თავდასხმაში „ტიგრესის“ წინააღმდეგ. მისმა ორმა გოლმა გამარჯვება მოუტანა თავის კლუბს – 2-1 სულ კი ამ სეზონში კამპოსს უკვე 4 გოლი აქვს გატანილი.**

### მოკლედ...

● **რუსეთის** ქართველი ლეგიონერი „ჟემჩუჟინას“ თავდამსხმელი გოჩა გოგრიჭიანი დისკვალიფიცირებულია 5 თამაშით, „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში გაძევების შედეგად.

● **„მაქაბის“ მეკარემ და ისრაელის ეროვნული ნაკრების მეკარეთა მწვრთნელმა ალექსანდრ უვაროვმა ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო 8 წლის ლოდინის შემდეგ.**

● **თანამდებობიდან** გადადგა მილანის „ინტერის“ კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი. ამ კაცმა გუნდში 4 მთავარი მწვრთნელი შეცვალა და საქმეს მაინც ვერ უშველა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## უეფას თასის ფინალის წინ

## „ოლიმპიკი“ – „პარმა“

*12 მაისს მოსკოვში უეფას თასის ფინალი კი გაიმართება, მაგრამ რუსეთის დედაქალაქთან, რა თქმა უნდა, რაიმე პირდაპირი კავშირი არა აქვს — ერთმანეთს შეხვდებიან იტალიური „პარმა“ და საფრანგეთის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, მარსელის „ოლიმპიკი“.*

რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია უეფას თასის ფინალურ მატჩში სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, უპირატესობა რომელიმეს მიანიჭო, მაგრამ მიმომხილველთა დიდი ჯგუფი მაინც ფიქრობს, რომ ამ მომენტისათვის იტალიური კლუბი მაინც უფრო ძლიერია. მართალია, ალბერტო მალესანის კლუბს იტალიის ჩემპიონობაზე პრეტენზია ამჟამად ველარ ექნება, მაგრამ იბრძვის ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად. და კიდევ ერთი — მან უკვე მოიპოვა იტალიის თასი, თუმცა ისე რომ, ფინალურ მატჩებში, „ფიორენტინას“ დამარცხება ვერ შეძლო — 1-1, 2-2. რა ვუყოთ, როგორც ამბობდნენ ძველი რომაელები, „ცუდი კანონია, მაგრამ მაინც კანონია“. დიახ, პარმელებმა ორივე შეხვედრა ფრედ კი დაასრულეს, მაგრამ მეტოქის მინდორზე მეტი გოლი გაიტანეს, რამაც გამარჯვება მოუტანა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „პარმას“ მიერ ნახევარფინალში მადრიდის „ატლეტიკოს“ ორგზის დამარცხებამ: 3-1 (სტუმრად) და 2-1. პირველი მატჩის შესახებ მიმომხილველები წერდნენ, რომ „პარმას“ თავდამსხმელთა დუეტს კრესპოსა და კიეზას (ხშირად მინდორზე არგენტინელი ვეტერანი ბალბოც გამოდის) შეუძლია ნებისმიერი დაცვის „გარღვევა“. ახლა მცველი ტიურამი, დ. ბაჯო და ვერონი?.. რაც შეეხება მეკარე ბუფონს, მას პრესა საერთოდ „შეუდარებელს“ უწოდებს. „პარმას“ ძალიან ძლიერი დაცვა და მეკარე ჰყავს — განაცხადა „ატლეტიკოს“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჟუნინიომ. „რა გაეწყობა... ბუფონი დიდი მეკარეა“ — ეს სიტყვები უკვე მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელ რადომირ ანტიჩს ეკუთვნის. მეორე მატჩის შემდეგ „პარმას“ მცველმა, ფრანგმა მსოფლიო ჩემპიონმა ტიურამმა თქვა: „დაღლილობის გამო კარგი ფეხბურთი არ გვიჩვენებია. ფინალში, დამიჯერეთ, სულ სხვა „პარმა“ იქნება. დარწმუნებული ვართ საკუთარ ძალებში, მეტოქეებს სულაც არ შევნატრით“.

ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: „პარმა“ წარმატებას ამ შეჯიბრებებში საკუთარ მინდორზე მოგებებით აღწევდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო მადრიდში გამარჯვება. როგორი იქნება ამ მხრივ იტალიელებისათვის მოსკოვის „ლუჟნიკის“ სტადიონი?!

„ოლიმპიკ“ — „ბოლონიას“ ნახევარფინალურ წყვილში ფრანგებს ფავორიტებად კი თვლიდნენ, მაგრამ მათ უპირატესობა არა ჰქონიათ. პირველი მატჩის შედეგი იყო 0-0, მეორეს კი 1-1. ორივე მატჩში მარსელელთა მწვრთნელი როლან კურბისი ძალზე უკმაყოფილო იყო თავდამსხმელებით. თავი ვერ გამოიჩინეს ვერც დიუგარიმ, ვერც მორისმა და იტალიელმა რავანელიმ. ისე კი, „ოლიმპიკის“ შემადგენლობა საკმარისად ძლიერია. მეკარე პორატოს საფრანგეთის ნაკრებში გამოსვლის ერთ-ერთ პრეტენდენტად თვლიან, შუა ხაზზე თამაშობს მრავალნაცადი ბრავო, გუნდს ჰყავს კარგი გამთამაშებელი პირესი და... მხნელი, ცენტრალური მცველი ბლანი. სწორედ ეს ბლანი იყო, რომელმაც ბოლონიაში თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა. ამავე დროს მოსკოვის მატჩში გაფრთხილებების გამო ვერ ითამაშებენ რავანელი, ლიუქსენი და გალისი. ეს დიდი დანაკლისია მარსელელებისათვის...

## „ბაიერნი“ ჩემპიონია, მაგრამ...

### გერმანიის პირველობის მიმოხილვა



ძიოლერი (№7) თავის სტიქიაში...

თუ გერმანიის შარშანდელ პირველობას მაინც სენსაციური ხასიათი ჰქონდა, მეორე ბუნდესლიგიდან დაბრუნებულ „კაიზერსლაუტერნის“ გამარჯვებას არავინ ელოდა, წლევანდელი ჩემპიონატი სრულიად ლოგიკური შედეგით სრულდება. ვადაზე ადრე გაიმარჯვა მიუნხენის „ბაიერნმა“, რომლის სრულ უპირატესობაში ყველა ძირითად მეტოქესთან არავის აეჭვებდა.

თუ შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, „ბაიერნს“ ამ მხრივ ჩემპიონატში არაფერი უნდა გასჭირვებოდა. იგი ხომ ბუნდესლიგაში ფაქტობრივად ერთადერთი გუნდია, სადაც თითოეული ადგილისათვის უმძაფრესი კონკურენციაა შექმნილი. ეს მენეჯერული ჰიონესის დამსახურებად მიაჩნიათ, რომელმაც მშვენივრად იცის, რომელი ახალი მოთამაშე უნდა მოი-



წვიოს, ვისი განთავისუფლება ითხოვოს. მართალია, აქ უკვე მწვრთნელის ნებართვაა საჭირო: მწვრთნელი ოტმარ ჰითცფელდიც „ბაიერნში“ მეტად „გაგულისებული“ მივიდა. მას არ შეეძლო ეპატიებინა დორტმუნდის „ბორუსიისათვის“, რომ მთელ 1997-98 წლების სეზონის განმავლობაში მწვრთნელის თანამდებობა დაატოვებინეს, ტექნიკურ დირექტორად გადაიყვანეს, მისი ადგილი კი იტალიელ ნევიო სკალას დაუთმეს, რომელმაც საერთოდ ვერაფერს მიაღწია. აი, რაც „ბორუსიაში“ არ დააცადეს, ჰითცფელდმა „ბაიერნში“ გააკეთა და კლუბს სრულიად დამსახურებულად მოუპოვა ჩემპიონობა. ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ მიუნხენელებს კარგა ხნით გამოაკლდა მთავარი სნაიპერი ელბერი, ბევრი მატჩი გამოტოვა შესანიშნავმა მარჯვენა მცველმა, მსოფლიო ჩემპიონმა ლიზარაზიუმ, მაგრამ „ბაიერნს“ ხომ საკმაოდ „გრძელი სკამი“ აქვს...

„ბაიერნს“ იმდენად აშკარა უპირატესობა ჰქონდა, რომ აქცენტი დროდადრო ჩემპიონატთა ლიგაზე გადაჰქონდა და ძირითად მოთამაშეებს ასვენებდა. ფრეს სერია მეორე წრეში სწორედ ამით აიხსნებოდა. იგივე უნდა გააკეთოს კლუბმა დასკვნით ტურებშიც, როცა მას პირველი ადგილი უკვე განაღდებული აქვს, 26 მაისს ბარსელონაში კი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი ელის.

გერმანიის ბუნდესლიგაში იოლი მატჩები რომ არ არსებობს, ეს დაამტკიცა თუნდაც მიუნხენში „ბაიერნსა“ და მეორე ლიგაში გადასასვლელად განწირულ მენხენგლადბახის „ბორუსიას“ XXIX ტურის შეხვედრამ. 70-იან წლებში ისინი ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტები იყვნენ, ახლა კი „ბორუსია“ სულ უკანასკნელ, მე-18 ადგილზეა და კარგა ხანია აღარაფერი შველის. ამის მიუხედავად, მისმა თავდამსხმელებმა იორგენ პეტერსონმა (შვეცია) და ტონი პოლსტერმა (ავსტრია) მიუნხენელთა განთქმულ დაცვას არაერთი პრობლემა შეუქმნეს. ოლივერ კანმა ჯერ პოლსტერი წააქცია, რისთვისაც პენალტი დაიმსახურა და თვით დაზარალებულმა გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ისე განერვიულდა, რომ ბურთი ტრიბუნებისაკენ გასტყორცნა და... მინდორიც დაატოვებინეს. „ბაიერნმა“ ბოლოს გაიმარჯვა — 4-2, მაგრამ მისმა მწვრთნელმა ჰითცფელდმა მაინც ღირსეულად შეაფასა მეტოქე. „ძალიან მეცოდება „ბორუსია“. მან დღეს უჩვენა, რომ კარგ ფეხბურთს თამაშობს და ბუნდესლიგაში ადგილსაც იმსახურებს. ამავე დროს, ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით იმ მომენტიდან, როცა ოლივერ კანს მინდორი დაატოვებინეს, ყველა შესანიშნავად თამაშობდა“. ძალიან კარგად ჩაატარა ლიდერმა XXX ტურის შეხვედრა სტუმრად „შტუტგარტთან“ — 2-0, სადაც მეჰმეტ შოლმა და კარსტენ იანკერმა თავი გამოიჩინეს.

15 მაისს ლიდერი ნიურნბერგში ადგილობრივ გუნდს ეთამაშება, რომელსაც ჯერაც არ გადაუწყვეტია ლიგაში დარჩენის პრობლემა, 22 მაისს „ბოხუმს“ მიიღებს, რომელიც „ნიურნბერგზე“ უარეს დღეშია, ჩემპონატს კი 29 მაისს ლევერკუზენში „ბაიერთან“ შეხვედრით დაასრულებს, ამ გუნდის შეხვედრებს ბოლო წლებში პრინციპული მნიშვნელობა მიენიჭა.

ამასთან, საქმე მხოლოდ ჩემპიონობისათვის ბრძოლა ხომ არ არის. მიმდინარეობს მძაფრი ბრძოლა იმ ოთხი ადგილისათვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლებას იძლევა. თუ „ბაიერნის“ საკითხი კარგა ხანია გაირკვა, დანარჩენი საგზურებისთვის მეტ-ნაკლები შესაძლებლობებით დიდი ჯგუფი იბრძვის. მათ შორის უდავო უპირატესობა აქვს ამჟამად მეორე ადგილზე მყოფ „ბაიერს“ (ლევერკუზენი). როგორც მისი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი აცხადებს, ეს უფლება „ბაიერს“ აქამდეც უნდა მოეპოვებინა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ჩემპიონატში „ბაიერნთან“ მეტოქეობა არ შეეძლო. „ბაიერი“ ორჯერ იყო წინ მესამე ადგილზე მყოფ „ჰერტაზე“, მაგრამ მატჩი მაინც ფრედ — 2-2 დამთავრდა. „მე რომ „ბაიერის“ მწვრთნელი არ ვიყო, ვიტყოდი, რომ ეს მატჩი მომეწონა — განაცხადა დაუმმა — დაცვაში უფრო ყურადღებით რომ გვეთამაშა, ამ შეხვედრას აუცილებლად მოვიგებდით“. ასეა თუ ისე, „ბაიერს“ მეორე ადგილის მოსაპოვებლად კვლავ შეუპოვარი ბრძოლა მოუხდება. 15 მაისს იგი დუისბურგში თამაშობს მეტად მტკიცე გუნდთან, 22 მაისს კვლავ გასვლითი მატჩი აქვს „ვოლფსბურგთან“, რომელიც ბევრისათვის მოულოდნელად ასევე იბრძვის ოთხეულში მოსახვედრად, ხოლო ჩემპიონატს, როგორც უკვე ვთქვით, 29 მაისს „ბაიერნთან“ ამთავრებს. ასეა თუ ისე, კრისტოფ დაუმმა წლეულს ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი რეპუტაცია.

„კაიზერსლაუტერნს“ მეორე წრეში ძალიან გაუჭირდა. ეს უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ ოტო რეჰაგელს „გრძელი სკამი“ არა აქვს, ხანგრძლივად ავადმყოფობდა, მაგალითად, წამყვანი ფორვარდი ფრანკ მარშალი, სხვა სნაიპერი კი გუნდს არ ჰყავს. XXIX ტურის შემდეგ ექს-ჩემპიონი მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა, XXX ტურში „ვერდერთან“ გამარჯვებამ (4-0) კვლავ რამდენადმე გაიუმჯობესა მდგომარეობა, XXXI ტურში დორტმუნდის „ბორუსიას“ შეხვდა და წააგო 0-1.

რა თქმა უნდა, მიმდინარე ჩემპიონატში ოტო რეჰაგელისაგან პირველი ადგილის შენარჩუნებას არავინ მოითხოვდა, რაც ადრე გააკეთა, ისიც მეტად საკვირველია. აი ახლა ოთხეულში რომ არ მოხვდეს, მაშინ კი ნახეთ... „კაიზერსლაუტერნის“ ბედი კი შემდეგ თა-



მაშებზეა დამოკიდებული: 15 მაისს იგი გელზენკირხენში შეხვდება „შალკე 04“-ს, რომელიც, რომ იტყვიან, არც აქეთ არის, არც იქით. შემდეგი შეხვედრებია შინ „დუისბურგთან“ და სტუმრად „აინტრაჰტთან“ (მაინის ფრანკფურტი), რომლისთვისაც ამ მატჩს შეიძლება უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს. ოთხეულის კიდევ ერთ პრეტენდენტს, ბერლინის „ჰერტას“ სათამაშო დარჩა როსტოკის „ჰანზასთან“ (შინ) „ფრაიბურგსა“ და „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“ (შინ).

### აბსოლუტური სიახლე: პორტატული რაცია

ინგლისის პირველობაზე „ლივერპულისა“ და „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ამასწინანდელ მატჩში მთავარმა მსაჯმა და თანამსაჯებმა პირველად გამოიყენეს პორტატული რაციები ერთმანეთთან კონსულტაციის მიზნით.

### «ვინ ეკითხება, როდის დავამთავრებ მატჩს!»

„რივერ პლეიტისა“ და „ხიმნასია ი ესგრიმას“ მატჩი არგენტინის პირველობაზე „რივერის“ გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 8-0. როცა ანგარიში 7-0 იყო, კურიოზული ამბავი მოხდა: მსაჯმა მინდვრიდან გააძევა „ხიმნასია ი ესგრიმას“ მეკარე ერნან კასტელიანო, რომელიც დაბეჯითებით თხოვდა მას ვადამდე ადრე დაემთავრებინა მატჩი, რადგან მას აღარ სურდა მონაწილეობა მიეღო „ამ სამარცხვინო სანახაობაში“.

### «რასინგი» მაინც შეწყვეტს არსებობას?

არგენტინის პრეზიდენტ კარლოს მენემის მიმართვის მიუხედავად როგორმე იხსნან ცნობილი კლუბი „რასინგი“, მისი რეალური მშველელი მაინც არ აღმოჩნდა, არავის სურს კლუბის ვალების დაფარვა.

ახლა „რასინგს“ უკანასკნელი ვადა მიეცა — თუ არ დაფარავს ვალს, შეწყვეტს არსებობას.

### 113 დაპატიმრებული!

ასეთი დაპირისპირება თვით გლაზგოსაც კი არ ახსოვს, სადაც „გლაზგო რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ თითოეულ მატჩს აუცილებელი აყალ-მაყალი მოჰყვება ხოლმე. ამჯერად „გლაზგო რეინჯერსი“ ხომ „სელტიკის“ დამარცხების (3-0) შემდეგ შოტლანდიის ჩემპიონი გახდა, რამაც მთელ ქალაქში გულშემატკივრების შეჯახება და ხელჩართული ბრძოლა გამოიწვია. ამის შედეგად პოლიციამ 113 კაცი დააპატიმრა, რაც შოტლანდიისათვისაც კი სარეკორდოა!

## ევროპული ჩემპიონატები

### გერმანია. XXXI ტური

ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 2-1, ჰამბურგი — მიუნხენ 1860 3-0, ბაიერნი — ჰერტა 1-1, ჰანზა — შტუტგარტი 3-0, დორტმუნდი — კაიზერსლაუტერნი 1-0, დუისბურგი — შალკე 1-2, ლევერკუზენი — ბოხუმი 2-0, ვერდერი — აინტრახტი 1-2, ვოლფსბურგი — ნიურნბერგი 1-1.

***ლიდერობენ:*** ბაიერნი (72), ლევერკუზენი (62), ჰერტა (53); ფრაიბურგი 36 ქულით მე-11 ადგილზეა.

### ინგლისი. XXXVII ტური

ლესტერი — ნიუკასლი 2-0, უიმბლდონი — საუთჰემპტონი 0-2, შეფილდი — ლივერპული 1-0, ევერტონი — ვესტ ჰემი 6-0, ასტონ ვილა — ჩარლტონი 3-4, ბლეკბერნი — ნოტინგემი 1-2, დერბი — ქოვენთრი 0-0, მიდლსბრო — მანჩესტერი 0-1.

***ლიდერობენ:*** მანჩესტერი (75), არსენალი (75), ჩელსი (71), ნიუკასლი 45 ქულით მე-12 ადგილზეა.

### იტალია. XXXII ტური

ინტერი — პარმა 1-3, იუვენტუსი — მილანი 0-2, კალიარი — სალერნიტანა 3-1, ემპოლი — ვენეცია 2-2, ვიჩენცა — უდინეზე 2-3, სამპდორია — ფიორენტინა 3-2, პიაჩენცა — რომა, 2-0, პერუჯა — ბარი 0-1, ლაციო — ბოლონია 2-0.

***ლიდერობენ:*** ლაციო (65), მილანი (64), პარმა (55).

### ესპანეთი. XXXIII ტური

სოსიედადი — რეალი 3-2, ვილიარეალი — ბარსელონა 2-3, სალამანკა — ვალენსია 0-1, ესპანიოლი — სელტა 3-0, ოვიედო — ესტრემადურა 1-0, ტენერიფე — რასინგი 2-2, მალიორკა — სარაგოსა 1-0, ატლეტიკო — ბეტისი 2-3, დეპორტივო — ატლეტიკი 1-1, ალავესი — ვალიადოლიდი 2-0.

***ლიდერობენ:*** ბარსელონა (69), მალიორკა (60), ვალენსია (58).

### ჰოლანდია. XXXII ტური

სიტარდი — ეინდჰოვენი 6-4, ფეიენოორდი — ტვენტე 3-1, გრააფსხაფი — აიაქსი 1-3, ვაალაიკი — კამბური 4-1, უტრეხტი — ვიტესი 1-2, ალკმაარი — ნაიმეგენი 1-1, ტილბურგი — მაასტრიხტი 4-1, ჰერენვენი — როტა 2-2, ბრედა — სპარტა 5-0 (არჩილ არველაძემ სამი გოლი გაიტანა).

***ლიდერობენ:*** ფეიენოორდი (74), ტილბურგი (62), ვიტესი (58), აიაქსი 53 ქულით მეექვსე ადგილზეა, ხოლო ბრედა 21 ქულით — ბოლოზე.

### შვეიცარია. ფინალური ეტაპი, X ტური

ბაზელი — გრასჰოპერსი 2-0, ციურიხი — სერვეტი 4-0, სენტ-გალენი — ლოზანა 0-0, ლუცერნი — ქსამაქსი 2-0.

***ლიდერობენ:*** გრასჰოპერსი (39), სერვეტი (38), ლოზანა (38).

### რუსეთი. VI ტური

ალანია — ლოკომოტივი (ნ. ნოვგოროდი) 5-2 (ორი გოლი გიორგი დემეტრაძემ გაიტანა, ერთი წერეთელმა), სპარტაკი — ცსკა 1-0, ზენიტი — როტორი 1-1, დინამო — ჟემჩუჟინა 3-0, ურალანი — ტორპედო 1-1, ჩერნომორეცი — ლოკომოტივი (მოსკოვი) 1-4, კრილია სოვეტოვი — სატურნი 2-0, შინიკი — როსტსელმაში 0-3.

***ლიდერობენ:*** სპარტაკი (24), დინამო (16), ტორპედო (14).

### პორტუგალია. XXXI ტური

აკადემიკა — ბრაგა 1-1, ფარენსე — გიმარაეში 1-2, შავეში — პორტო 0-4, კამპომაიორენსე — მარიტიმუ 0-2, ბეირა მარი — ალვერკა 2-1, რიუ ავე — ბოავიშტა 0-2, ამადორა — ლეირია 1-1, სპორტინგი — სალგეიროში 3-1.

***ლიდერობენ:*** პორტუ (72), ბოავიშტა (67), სპორტინგი (61).

# ჭადრაკის მერიდიანზე

## გოგონას საგანგებოდ ამზადებენ

აშშ-ს საჭადრაკო ფედერაცია მსოფლიო პირველობისათვის საგანგებოდ ამზადებს 15 წლის ირინა კრაშს, რომლის მწვრთნელი დიდოსტატი რონ ჰენლი გახდა (ადრე კარპოვს რომ ეხმარებოდა).

ირინა კრაშს უმართავენ მატჩებს 4 პარტიისაგან ისეთ დიდოსტატებთან, რომლებიც მას კლასით აღემატებიან. თუნდაც წააგოს, ოღონდ თამაში ისწავლოს. ირინა კრაშმა ყაიმით დაასრულა (2:2) მატჩი არტურ ბისჰაიერთან, მინიმალური ანგარიშით (1,5:2,5) დამარცხდა ჯონ ბონინსა და ჯონ ფედოროვიჩთან, მაგრამ სასტიკად წააგო (0,5:3,5) უოლტერ ბრაუნთან.

## ევროპის საჭადრაკო კავშირი იუწყება

- ევროპის პირველობა ჭაბუკებს შორის (20 წლამდე) გაიმართება 1999 წლის 1-16 ოქტომბერს ქ. პატრასში (საბერძნეთი).
- ევროპის ჩემპიონატები 10-18 წლამდე მოზარდთა შორის ჩატარდება 1999 წლის 3-12 სექტემბერს ქ. ლიტოხოროში (საბერძნეთი).
- ევროპის ჩემპიონატი ქალთა კლუბებს შორის გაიმართება 1999 წლის 22-29 მაისს ქ. ნოვე გორიცაში (სლოვენია).
- ევროპის საჭადრაკო კავშირმა მოიწონა იდეა არმიელ მოჭადრაკეთა კონტინენტის პირველობის ჩატარების შესახებ.
- 2000 წელს ქ. ბადენ-ბადენში (გერმანია) უნდა გაიმართოს ევროპის პირველი ჩემპიონატი ქალთა შორის. მასში 14 მოჭადრაკე ითამაშებს: 3 საუკეთესო რეიტინგის მქონე — ევროპის ჩემპიონი გოგონათა შორის, თითო წარმომადგენელი ყველა ევროპული ზონიდან ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელი.
- ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის ჩატარება სურს ესპანეთს.
- გერმანიის საჭადრაკო ფედერაცია დათანხმდა ჩაატაროს ევროპის სენიორთა პირველი გუნდური ჩემპიონატი.

## ბერმუდის კუნძულებზე...

საჭადრაკო სამყაროში ახალი მოულოდნელი ცენტრი გაჩნდა — ბერმუდის კუნძულები.

იქ გაიმართა მაიკლ ადამსის (ინგლისი) მატჩი ამერიკელ დიდოსტატ იასერ სეირავანთან. ყველა ადამსის გამარჯვებას ელოდა, მაგრამ შეხვედრა ყაიმით — 5:5 დასრულდა.

საერთაშორისო ტურნირში პირველი იყო ნორჩი ფრანგი დიდოსტატი ეტიენ ბაკრი, რომელმაც 12 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა.

## კერესის მემორიალზე

ტალინში ყოველწლიურად ტარდება გამოჩენილ დიდოსტატ პაულ კერესის მემორიალი სწრაფ ჭადრაკში.

ვაჟთა ტურნირში 8 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა 5,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა დიდოსტატი ვიქტორ გავრიკოვი, რომელიც რამდენიმე წელიწადი შვეიცარიაში ცხოვრობდა, ახლა კი ვილნიუსში დაბრუნება არჩია. მან ქულით ჩამოიტოვა დიდოსტატები ვლადიმირ მალანიუკი (უკრაინა) და მასპინძელი იაან ელვესტი.

ქალთა შორის რუსმა დიდოსტატმა ტატიანა სტეპოვაია — დიაჩენკომ გაიმარჯვა — 6 ქულა შვიდიდან.

# „ტოტო-ლოტო" — მილიონთა თამაში!

*9 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეთვრამეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

**2. 7. 13. 22. 33. 36.**

3 ციფრი - 1.70 ლარი.
4 ციფრი - 12.70 ლარი.
5 ციფრი - 279.40 ლარი.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი" 31 660 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **1. 5. 1. 0. 6. 6. 0.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 16 მაისს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი-98"-ის და „ოლიმპის" მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები, რომლებიც წილად ხვდათ:

ლატარია „ოლიმპ"-ში - მ. ჭინჭაძეს (დუშეთი) - ყავის ელექტროსაფქვავი. ბილეთის №080160, სერგო ბეგაშვილს (თბილისი) - ვოლქმენი. ბილეთის №064469.

ლატარია „გოლი 98"-ში ნიკო კუჭიაშვილს (თბილისი) - 50 ლარი. ბილეთის № 03945-090, დათო გამყრელიძეს (თბილისი) - ელექტრო მადუღარა. ბილეთის №03900-146.

ამასთან, გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიის ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში. მის: ჟ. შარტავას №40. „გოლი 98"-ის და „ოლიმპ"-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზების გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს!

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

# ნოდარ ფრიდონიშვილი



66 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ტანმოვარჯიშე ნოდარ ფრიდონიშვილი. მეცადინეობა სპორტის ამ სახეობაში სკოლაში სწავლის წლებში დაიწყო შოთა კაკაურიძესთან, შემდეგ კი გიორგი ბაბილოძის შეგირდი გახდა. სპორტის სიყვარულმა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მიიყვანა, რომელიც 1956 წელს დაამთავრა. წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა შეჯიბრებაში. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში და არაერთხელ მოუპოვებია საპრიზო ადგილი. ერთხანს დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ „შრომით რეზერვებში" იმუშავა მწვრთნელად. პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, პროკურატურის სისტემაში მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

ტანვარჯიშთან და კოლეგებთან ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია. სასურველი სტუმარი იყო ყოველთვის, როცა სხვადასხვა შეჯიბრებას ესწრებოდა.

გულისხმიერი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების და მოქალაქის ნოდარ ფრიდონიშვილის ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია,
თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტსკოლა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**11 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. ახალგაზრდა ფეხბურთელთა (18 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო — ჩეხეთი (00.15), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8-55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), საქართველოს ხმა. მსოფლიო სტადიონებზე (9.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 21.30), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები" (17.00), ინგლისის ჩემპიონატი (17.20), იტალიის ჩემპიონატი (19.15), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.05), ბრაზილიის ჩემპიონატი (23.00); ***НТВ плюс спорт.*** ბრძოლა წესების გარეშე (19.50). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (19.00, 19.30 — „ჩელსი" — „ტოტენჰემ-ჰოტსპური"). ჰოლანდიის ჩემპიონატი: „ფკ ტვენტე" — „ფეიენოორდი" (23.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის 1999 წლის ჩემპიონატი (12.00), ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.30), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (4.00).

**12 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი: საქველმოქმედო მატჩი, საქართველოს I და II ნაკრებებს შორის (21.45), 23.00 — უეფას თასის გათამაშების ფინალი: „ოლიმპიკი" (საფრანგეთი) — „პარმა" (იტალია) ***РТР-იდან;*** ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსვლავები" (21.00). ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. მსოფლიო სტადიონებზე (19.30), ***ევრიკა.*** „სტუმარი" (21.00), ფეხბურთი: ***РТР.*** — უეფას თასის ფინალი (22.50). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატი (13.15, 21.00 მიმოხილვა), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (15.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.50, 0.50), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.45), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.30, 1.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (19.15). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (4.00, 9.30, 14.30, 15.00, 19.00), ფეხბურთი. უეფას თასის ფინალი: „პარმა" — „ოლიმპიკი", ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (11.30), მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00, 15.30, 4.00).

**13 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატის (13.45, 19.20), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.30, 1.15), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (16.50). ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.05), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები" (22.40), შოტლანდიის ჩემპიონატი (23.30). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (15.00), ევროპის საფეხბურთო კვირეული (16.00). უეფას თასის გათამაშების ფინალი „პარმა" — „ოლიმპიკი" (19.00), ჰოლანდიის ჩემპიონატი: „ფორტუნა სიტარდი" — „აიაქსი" (23.30), ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.45), „მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები" (16.00), მძლეოსნობა. გრან-პრი (21.00). ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30).

# რა ხდება ქვეყანაზე

## მსაჯი მაყურებელს ყბაში სწვდა

მაყურებლისა და მსაჯთა ურთიერთობის აგრესიულობა ყოველთვის მაყურებლისგან როდი მოდის, ზოგჯერ არბიტრებიც სცოდავენ. საფრანგეთის საპორტო ქალაქ ჰავრში, ერთ-ერთ მატჩში გულშემატკივარმა არბიტრი ბოლბე ლანძღვით აიკლო და წონასწორობა დააკარგვინა. მსაჯი მიეჭრა ტრიბუნას, ყბაში სწვდა გახელებულ ქომაგს და „მოაკეტინა".

ჰავრის სასამართლომ განიხილა ბოლბეს საქმე და დიდი თანხით დააჯარიმა იგი.

## შემარბილებელი ვითარებისა გამო

**ინგლისელ იურისტ არვოლდს სპორტსმენ-რაგბისტადაც იცნობდნენ. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, რომელიც მას მიჰყავდა, ბარში ჩხუბის საქმე ირჩეოდა. აყალმაყალში პორტის მტვირთავს ხუთი კაცი დაუსახიჩრებია და ოთხი გაუქცევია. როცა მოსამართლე არვოლდმა ბრალდებულს ჰკითხა, როგორ მოახერხეთო, უყოყმანოდ მიიღო პასუხი:**

**— სერ, ბევრჯერ მინახიხართ მინდორზე რაგბის თამაშში.**

**სასამართლომ ბრალდებული გაათავისუფლა „შემარბილებელი ვითარებისა გამო".**

## მეტყველება დაუბრუნდა

ეს იშვიათი შემთხვევა უნგრეთის ქალაქ კაპოშვარის საავადმყოფოში მოხდა. თერთმეტი წლის წინათ იანოშ პიოჩს წაერთვა ხმა. ამ ხნის განმავლობაში ექიმების ცდა — განეკურნათ პაციენტი, ამაო აღმოჩნდა. მორიგი ცდისათვის პიოჩი დაწვა საავადმყოფოში. კლინიკაში მისვლის პირველ დღეს რადიოთი გადმოსცემდნენ ფეხბურთში უნგრეთის ჩემპიონატის მატჩის რეპორტაჟს. კომენტატორმა თქვა, კარისკენ გაჭრილი თავდამსხმელი საჯარიმო მოედანზე ძირს დასცეს. „პენალტი!" — მოულოდნელად წამოიძახა პაციენტმა. როგორც გაირკვა, თერთმეტმეტრიანს მეტყველება დაუბრუნებია მისთვის და მალე გამოეწერა საავადმყოფოდან.

## მაგიდის ჩოგბურთი

### ბელგრადიდან ეინდჰოვენში

როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში ბელგრადში უნდა გამართულიყო, მაგრამ გასაგები ამბების გამო იგი არ დაწყებულა.

როგორც მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია იუწყება, მსოფლიო პირველობა ჰოლანდიაში გადაიტანეს და იგი ეინდჰოვენში, 2 აგვისტოს დაიწყება.

## ჩოგბურთი

### რომსა და ჰამბურგში

რომსა და ჰამბურგში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირები. რომში, ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ვინუს უილიამსმა (აშშ) მოუგო მარი პირსს (საფრანგეთი). ჰამბურგში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტ მატჩში მარსელო რიოსმა (ჩილე) დაამარცხა ექტორ ვილაიეტა (არგენტინა).

# კროსვორდი


1


39


19-2

**თარაზულად:** 1. წარსულში გამოჩენილი ქართველი მეკარე *(ფოტო)*, 4. ლეგენდარული ეთიოპიელი მძლეოსანი, 5. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 8. რუმინელი მძლეოსანი ქალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, 9. ცნობილი გერმანელი მწვრთნელი ფეხბურთში, 10. თბილისის „დინამოს" მეკარე 70-80-იან წლებში, 13. ტბა კანადასა და აშშ-ში, 16-17. წარსულში გამოჩენილი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში, 18. ჩილელი ჩოგბურთელი, 19. თბილისის „დინამოს" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, 22. ლაციოს თავდამსხმელი, 28-29. ჭიდაობის ერთ-ერთი ფანდი, 30. იტალიელი სპრინტერი, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში, 32. ქართველი მოჭადრაკე, 36. რუსი ფიგურისტი ქალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი წყვილთა შორის, 38. ქართველი მოჭიდავე, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკური სტილით ჭიდაობაში, 39. ქართველი ტანმოვარჯიშე ქალი, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში *(ფოტო)*, 41. ნიგერიის ნაკრების თავდამსხმელი, 42. 50-70-იანი წლების ცნობილი არგენტინელი ნახევარმცველი, 43. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. „ბოკა ხუნიორსის" თავდამსხმელი, 2. ესპანელი თავდამსხმელი, ევროპის 1964 წლის ჩემპიონი, 3. ცნობილი ფრანგი მწვრთნელი ფეხბურთში, 4. გამოჩენილი უკრაინელი ჭოკით მხტომელი, 6. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 10. „აიაქსის" თავდამსხმელი, 11. „არსენალის" ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 14. „ბარსელონას" ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 15. იტალიელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1934 წლის ჩემპიონი, 26. „არსენალის" ნიგერიელი ფეხბურთელი, 27. „ფორმულა-1"-ის ცნობილი ბრაზილიელი პილოტი, 31. „ლაციოს" ხორვატი თავდამსხმელი, 33. 1968 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 34. ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი 80-90-იან წლებში, 36. 1991 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი, 37. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა.

**დიაგონალურად:** 19-2. „მილანის" მცველი *(ფოტო)*, 20-7. წარსულში სახელგანთქმული რუსი ტანმოვარჯიშე ქალი, 21-12. „ჩელსის" მოთამაშე მწვრთნელი, 2-25. თბილისელი ხელბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 7-24. რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვაჟთა შორის, 12-23. ცნობილი განელი თავდამსხმელი, 19-44. ქართველი ძალოსანი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 20-40. რუსი მოკრივე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 21-35. ცნობილი ფრანგი საფეხბურთო მსაჯი, 35-23. 60-იანი წლების ცნობილი არგენტინელი ფორვარდი, 40-24. მოსკოვის „სპარტაკის" და სსრკ ნაკრების ჰოკეისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 44-25. წარსულში ცნობილი ქართველი კალათბურთელი.



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. აფციაური, 8. დერვალი, 9. გროშიჩი, 11-13. ბერხკამპი, 14. სკავოლინი, 20. სტაიერი, 22. მუსტერი, 24. მძლეოსნობა, 27. გოიჩელი, 28. არარატი, 33-34. სამპდორია, 35. ლიტმანენი. 36. აგრესია, 39. ანტალია, 40. კარელინი; **შვეულად:** 1. ფალკაო, 2. აია, 3. რაი, 4. ბირთვი, 5. ერერა, 7. ჯიგია, 8. დებიუტი, 10. ირიბარი, 12. პონედელნიკი, 15. კაფელნიკოვი, 16. ბრუმელი, 17. კონორსი, 18. ლარსენი, 19. გუდაური, 21. აგასი, 23. ელიტა, 25. ბორუსია, 26. სტატიბა, 29. ამორო, 30. ბოჟიკი, 31. ომონია, 32. ფელა, 37. ვეა. 38.ალი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
სოფ. კარდენახი



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლf6! – 2. მe5X. 1. ...ed 2. edX.
1. ...d4 2. ლe6X. 1. ...კ:f6 2. ე:c7X.
1. ...ეe7 2. ლc6X. 1. ...ab 2. მ:b2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე